



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ხულოს მუნიციპალიტეტში ბიო მეურნეობის
განვითარების შესაძლებლობების კვლევის
ანგარიში

მომზადებულია ბიომეურნეობათა ასოციაცია ელკანას მიერ

თბილისი-ბათუმი
იანვარი - თებერვალი 2021

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა



სარჩევი

1. შესავალი	4
2. კვლევის მიზანი	4
3. მიზნობრივი ჯგუფები	5
4. გამოყენებული მეთოდოლოგია.....	5
5. სამიზნე რეგიონის დახასიათება	6
5.1. გეოგრაფიული მდებარეობა	6
5.2. მოსახლეობა.....	6
5.3. კლიმატი.....	7
5.4. ნიადაგები	7
6. მოძიებული ინფორმაციის ანალიზი	8
6.1. სოფლის მეურნეობა.....	8
6.2. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩართული ფერმერების გამოკითხვის შედეგები.....	15
6.3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელთა გამოკითხვის ძირითადი დასკვნები	31
7. ფოკუს ჯგუფების გამოკითხვის შედეგები.....	32
7.1. ფოკუს ჯგუფების შეხვედრები	33
7.2. ფოკუს ჯგუფების გამოკითხვის შემაჯამებელი დასკვნები	36
8. განვითარების პროგრამების გამოკითხვის შედეგები	36
8.1. კვლევის შედეგები:	37
8.2. ხულოს მუნიციპალიტეტში მოქმედი განვითარების პროგრამების გამოკითხვის დასკვნები	44
9. სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციით დაკავებული სავაჭრო ქსელების და ექსპორტიორების გამოკითხვის შედეგები	45
9.1. ვაჭრობის სექტორის გამოკითხვის შედეგები.....	45
9.2. ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების გამოკითხვის დასკვნები	49
10. საქართველოს ბიოპროდუქტების საექსპორტო პოტენციალი.....	50
10.1 ინფორმაცია პოტენციური ბიოპროდუქტების შესახებ.....	50
10.2. დასკვნები	54
11. შემაჯამებელი დასკვნები და რეკომენდაციები.....	54
11.1 შემაჯამებელი დასკვნები	54
11.2. რეკომენდაციები.....	56
12. დანართები.....	59
დანართი 1 - ხულოს მუნიციპალიტეტის პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელთა მონაცემები.....	59
დანართი 2. შუახევის მუნიციპალიტეტის პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელთა მონაცემები.....	61
დანართი 3 - კითხვარები.....	62

1. შესავალი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი რეგიონის - ხულოს მუნიციპალიტეტში ბიომეურნეობის განვითარების შესაძლებლობების კვლევა ჩატარდა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანას მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD II) და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს, პროექტის: „სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში. აღნიშნულ პროექტს ახორციელებს ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში (CCRG), ხორვატიის სოფლის განვითარების ქსელსა (HMRR) და PMC-ის კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით. წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია და შეხედულებები ეკუთვნის ჩეხეთის რესპუბლიკას საქართველოში (CCRG) და ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფს (LAG), და არ არის აუცილებელი ასახავდეს ევროკავშირის ოფიციალურ თვალსაზრისს. აქ წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენებისთვის პასუხისმგებლობა არ ეკისრება არც ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ორგანოებს, არც ნებისმიერ პირს, რომელიც მათი სახელით მოქმედებს.

ანგარიში მომზადებულია მიზნობრივ ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისაგან მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე, მომიჯნავე შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვისა და სხვა წყაროებსა და დარგობრივი სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის შეჯერება-ანალიზის საფუძველზე.

2. კვლევის მიზანი

სამიზნე მუნიციპალიტეტების გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატურ ნიადაგობრივი პირობები, ერთის მხრივ მკაცრი და ხანგრძლივი ზამთარი აფერხებს სოფლის მეურნეობის დარგობრივ დივერსიფიკაციას, ხოლო მეორეს მხრივ აგრარული მიმართულების მცირე რაოდენობის მიწის რესურსები არ არის საკმარისი ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების დასაკმაყოფილებლად, რის შედეგადაც საკმაოდ დაბალია ცხოვრების დონე და მაღალია მიგრაცია. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოედგენს ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში ბიომეურნეობათა განვითარების შესაძლებლობების გამოკვლევა და რეალური პოტენციალის იდენტიფიცირება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება/განხორციელება. რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კონკრეტულ სიტუაციაზე მორგებული აგრარული მიმართულებების განვითარებას ღირებულებათა ჯაჭვის სრული ციკლის გათვალისწინებით, რომელიც თავის მხრივ გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ შემოსავალს და ამავდროულად ხელს შეუწყობს რეგიონში ჯანსაღი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებას.

3. მიზნობრივი ჯგუფები

კვლევამ მოიცვა შემდეგი მიზნობრივი ჯგუფები:

- ორგანული სოფლის მეურნეობით დაინტერესებული ფერმერები ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში
- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- მიზნობრივ მუნიციპალიტეტში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და პროექტები;
- მუნიციპალიტეტების დარგობრივი სპეციალისტები
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი კომპანიები
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსხვილი სავაჭრო ქსელები
- ბიოპროდუქტების ექსპორტიორები
- სხვა დაინტერესებული პირები

4. გამოყენებული მეთოდოლოგია

დოკუმენტის შემუშავების პროცესში პირველადი მონაცემების მოპოვების მიზნით გამოყენებული იქნა კვლევის **რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები**, კერძოდ, გამოკითხვა წინასწარ მომზადებული კითხვარებით და ჩაღრმავებული ინტერვიუ. რაოდენობრივი კვლევის პროცესში სულ გამოიკითხა 50 ფერმერი სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან. ფერმერების რაოდენობრივი კვლევის პარალელურად, ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფის გამოკითხვა, დამატებითი თვისობრივი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. ამასთან ერთად, გამოკითხვა ჩაუტარდა ასევე რეგიონში მოქმედ განვითარების პროგრამებისა და პროექტების განმხორციელებელ ორგანიზაციებს და რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სექტორის გადამამუშავება-რეალიზაციაში დაკავებულ კომპანიებს: 5 სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელს, 3 ადგილობრივ არასამთავრობო სექტორის, 2 საერთაშორისო ორგანიზაციას, 3 საცალო ვაჭრობის ქსელს და 1 ექსპორტიორ კომპანიას.

საველე სამუშაოების განხორციელებამდე განისაზღვრა ჩაღრმავებული ინტერვიუებისთვის შესაბამისი რესპოდენტთა ბაზა (**დანართი №1**) და შემუშავდა ინტერვიუს კითხვარები სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისათვის (**დანართი №2**). ინტერვიუები ჩატარდა ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს ფორმატით შემდეგ პირებთან: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ს/მ-ის მინისტრთან და მრჩეველთან, მუნიციპალიტეტების დარგობრივ სპეციალისტებთან, აჭარის აგროსერვისცენტრის დირექტორთან, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ კომპანიებთან და პროდუქციის საბითუმო თუ საცალო ქსელით მოვაჭრე კომპანიებთან თუ ბიოპროდუქტების ექსპორტიორებთან.

დოკუმენტის შემუშავების პროცესში მეორადი ინფორმაციის მოპოვებისათვის განხორციელდა **სამაგიდე კვლევა**. კვლევის პროცესში მოპოვებულ იქნა ინფორმაცია შემდეგი წყაროებიდან: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის მიერ შემუშავებული ანგარიშები, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ინტერნეტში არსებული სხვა მიზნობრივი მასალები, რომლებიც ასახავს მსოფლიო ბიო პროდუქტების ტენდენციებს (IFOAM, FiBL და ხვა).

შემდეგ ეტაპზე შემუშავდა საველე გასვლების დეტალური გრაფიკი სამიზნე მუნიციპალიტეტებში. გრაფიკი უზრუნველყოფდა წინასწარ განსაზღვრული სამუშაოს შეთანხმებულ ვადებში შესრულებას. ინფორმაციის მოძიება მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობდა როგორც ანკეტებით გამოკითხვით, ასევე ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუების მეშვეობით. თუმცა, კოვიდ-19-ის პანდემიის გამო რიგი ინტერვიუები ჩატარდა დისტანციურად - ონ-ლაინ რეჟიმში.

5. სამიზნე რეგიონის დახასიათება

5.1.- გეოგრაფიული მდებარეობა

ხულო და შუახევი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის იურიდიული ერთეულებია და წარმოადგენენ აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებს.

თავის მხრივ ორივე მუნიციპალიტეტი განლაგებულია სამი მნიშვნელოვანი ქედის ფარგლებში, რომელთა საშუალო სიმაღლე მერყეობს 2000-2500 მ. ზღვის დონიდან (უმაღლესი წერტილი ყანლის მთა 3007 მ): აჭარა გურიის ქედი ორივე მუნიციპალიტეტს ზოლად გასდევს ჩრდილოეთით და გამოყოფს მას გურიის რეგიონისაგან. შავშეთის ქედი - ასევე ზოლად გასდევს სამხრეთ საზღვარს და გამოყოფს ამ მუნიციპალიტეტებს თურქეთის რესპუბლიკისაგან; ხოლო არსიანის ქედი კი წინა ორი ქედის პერპენდიკულარულად მდებარეობს ხულოს აღმოსავლეთ ნაწილში და გამოჰყოფს მას სამცხე-ჯავახეთის რეგიონისაგან. ხულოს დასავლეთით მოსაზღვრე შუახევის მუნიციპალიტეტია, რომელით თავის მხრივ დასავლეთით ქედის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება. ხულო აჭარის ა/რ-ის უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარეობს და გამოჰყოფს მას სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან, ხოლო შუახევის მუნიციპალიტეტი კი მდებარეობს ხულოს მუნიციპალიტეტის დასავლეთით. შუახევის მუნიციპალიტეტის მდებარეობა ზღვის დონიდან ხულოსთან შედარებით უფრო დაბალია: თუ ხულოს სიმაღლე შეადგენს 400-3007 მ-ს ზღვის დონიდან, შუახევის მხოლოდ 400-2812 მ-ია. მიუხედავად ამ სხვაობისა, ორივე მუნიციპალიტეტი მაღალმთიანია და შესაბამისად საკმაოდ მკვეთრი რელიეფით ხასიათდება, რის გამოც ხშირია მეწყრული მოვლენები და ნიადაგის ჩამორეცხვები, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაზე.

5.2. მოსახლეობა

2018 წლის მონაცემებით ხულოში 25,500 მოსახლე აღირიცხება. მუნიციპალიტეტში 79 დასახლებული პუნქტია: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი დაბა ხულო და 78 სოფელი. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლად ცხოვრობს.

შუახევის მუნიციპალიტეტში 15,100 მოსახლე აღირიცხება. 68 დასახლებული პუნქტია: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი დაბა შუახევი და 67 სოფელი. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლად ცხოვრობს.

5.3. კლიმატი

ხულოს მუნიციპალიტეტი მდებარეობს ზღვის ნოტიო, სუბტროპიკულ სივრცეში. ამის გამო კლიმატი აქ მკვეთრი ზონალურობით გამოირჩევა - ზამთარი ზომიერად ცივია, ხოლო ზაფხული ცხელი და შედარებით მშრალი.

მუნიციპალიტეტის დაბალ ნაწილებში საშუალო წლიური ტემპერატურა 10.1°C -ის ტოლია, იანვრის თვეში -0.9°C და ივნისში 18.6°C . მინიმალური ტემპერატურა -18°C -ია, ხოლო მაქსიმალური - 39°C .

მუნიციპალიტეტის მაღალმთიან ზონაში ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაბალია. ნალექების რაოდენობა წლიურად 1,300მმ-დან (ხულო 1320მმ) 2400-2500მმ-მდე (გოდერძის უღელტეხილი) აღწევს. მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ხანგრძლივი და დიდთოვლიანი ზამთრით. თოვლის ნარჩენები, ჩვეულებრივ, შუა ზაფხულამდეც კი რჩება

შუახევის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა შედარებით ნაკლები სინესტით. ხეობის გასწვრივ არის ხმელთაშუაზღვის ტიპის სუბტროპიკული ჰავა, იცის ცხელი მშრალი ზაფხული, შედარებით თბილი ზამთარი.

საშუალო წლიური ტემპერატურა - $11,4^{\circ}\text{C}$, იანვარში $1,3^{\circ}\text{C}$, აგვისტოში $19,9^{\circ}$; აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა $42,3^{\circ}\text{C}$; აბსოლუტური მინიმალური - 12°C . ნალექები 1200-1500 მმ მოდის წელიწადში. ნალექების მაქსიმუმი შემოდგომაზეა, მინიმუმი - გაზაფხულზე.

ყველაზე მაღალ ადგილში ნოტიო ჰავაა, ზამთარი ცივია, ზაფხული მოკლე და გრილი.

5.4. ნიადაგები

ხულოს მუნიციპალიტეტის ნიადაგების უმეტესობა მთა-ტყისა და მთამდელოს ტიპის ნიადაგებს განეკუთვნება, თუმცა შედარებით დაბალ ადგილებში აღინიშნება ტყის მუქი ყომრალი და ფსევდოეწერი ნიადაგებიც.

შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უფრო ჭარბად ტყის მუქი ყომრალი, ღია ყომრალი და ფსევდოეწერი ტიპის ნიადაგები გვხვდება, თუმცა ასევე გავრცელებულია მთა ტყის და მთა მდელოს ტიპის ნიადაგებიც.

აღსანიშნავია რომ ორივე მუნიციპალიტეტში, რელიეფიდან გამომდინარე, ბევრგან სრულიად ჩამორეცხილი ნიადაგებიც გვხვდება.


შუახევის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია ტყის მუქი ყომრალი, ღია ყომრალი, ფსევდო ეწერი მთა-ტყის ტიპის ნიადაგები. მაღალმთიან ზონაში მთის მდელოს ნიადაგებია. ბევრგან ნიადაგი სრულად ჩამორეცხილია.

6. მოძიებული ინფორმაციის ანალიზი

6.1. სოფლის მეურნეობა

მაღალმთიანი აჭარის სოფლის მეურნეობა, გამომდინარე მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და მკაცრი კლიმატისა, დიდი მიწის რესურსებით და მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ხულოს მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობის (710,000 ჰა) მხოლოდ 3.4% (24,042 ჰა) გამოიყენება სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით, საიდანაც 10% გამოიყენება სახნავად, 63% სამოვარი და 17% სათიბი, მხოლოდ 45 ჰა ფართობი უჭირავს მრავალწლიან ნარგავებს, რომელიც ძირითადად თხილისა და კაკლის ინტენსიური ბაღებით შემოიფარგლება, რომელიც აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის ფარგლებში გაშენებულია 2015 წელს და ჯერჯერობით სრულ მსხმოაროებაში შესული არ არის (იხ. დიაგრამა #6.1.1). გარდა ამისა საკარმიდამო ფართობებზე აღინიშნება ერთეული სახით გაშენებული კაკლის, ვაშლის, მსხლის, ქლიავისა და ტყემლის ნარგავი. თუმცა ბოლო წლების განმავლობაში, ასევე სამინისტროსა და აგროსერვისცენტრის მხარდაჭერით, საკარმიდამო ნაკვეთებზე ინტენსიურად დაიწყო კენკროვანი კულტურების - მოცვისა და ჟოლოს, გაშენება, რამაც უკვე დადებითი ეფექტი მოიტანა და თანდათანობით იზრდება მოსახლეობის ინტერესი ამ კულტურების მიმართ.


დიაგრამა #6.1.1



წყარო: აჭარის ა/რ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული ინფორმაცია

აქვე უნდა აღინიშნოს რომ სასოფლო სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია: არსებული რესურსის მხოლოდ 35% წარმოადგენს კერძო საკუთრებას, დარჩენილი 65% სახელმწიფოს ეკუთვნის (იხ. დიაგრამა #6.2) რაც საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე მხოლოდ 0.95 ჰა მიწის ნაკვეთს შეადგენს (8,753 შინამეურნეობა, 8,330 ჰა), სადაც შედის როგორც საკარმიდამო და სახნავი, ასევე სათიბი ფართობებიც, შესაბამისად არსებული მიწის რესურსით ძალიან რთულია მუნიციპალიტეტში რენტაბელური სოფლის მეურნეობის დანერგვა.


დიაგრამა #6.1.2




წყარო: აჭარის ა/რ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული ინფორმაცია

სახნავი ფართობების განაწილება დანიშნულების მიხედვით შემდეგნაირია: 2,463 ჰა-ს 48% დაკავებულია კარტოფილის ნათესებით, 39% - სიმინდის კულტურით, სახნავად მხოლოდ ფართობის 8.7%-ია გამოყენებული - ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისათვის. ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის გამოიყენება (იხ. დიაგრამა #6.1.3). შიგადაშიგ გვხვდება ლობიოსა და სიმინდის შერეული ნათესებიც. აღნიშნული კულტურების საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა - კარტოფილი 21 ტ/ჰა, სიმინდი 2.2 ტ/ჰა (იხ. დიაგრამა #6.1.4), მაინდამაინც სახარბიელო არ არის, რაც სავარაუდოდ შესაძლოა გამოწვეული იყოს ერთის მხრივ არასრული აგროტექნიკით და დაბალსელექციური სათესლე მასალით, ასევე მოსახლეობის მონოკულტურებზე ორიენტირებით.

დიაგრამა #6.1.3



წყარო: აჭარის ა/რ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული ინფორმაცია



წყარო: აჭარის ა/რ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული ინფორმაცია

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, არსებული მცირემიწიანობის და რელიეფიდან გამომდინარე, ძირითადად ხელით და ცოცხალი ძალით ასრულებს აგროტექნიკურ საქმიანობებს, თუმცა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში, დაფინანსების პირობებით, საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის მცირე სასოფლო სამეურნეო ტექნიკა გადაეცა ადგილობრივ მოსახლეობას, რამაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქა ფერმერთა მდგომარეობა.

უნდა აღინიშნოს რომ, ხულოს მუნიციპალიტეტში საბაზრო დანიშნულების სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე ძალიან დაბალია, რაც ბუნებრივია გამოწვეულია არსებული მიწის რესურსების სიმწირით, ძირითადი სარეალიზაციო პროდუქტი მიწათმოქმედებიდან მხოლოდ კარტოფილია, იშვიათ შემთხვევაში სიმინდი, ბოლო პერიოდში სამინისტროს მიერ განხორციელებულმა დარგობრივი დივერსიფიკაციის პროგრამამ კენკროვანი კულტურების და კაკლის ბაღების გაშენებით, უმნიშვნელოდ გაზარდა სარეალიზაციო პროდუქციის ასორტიმენტი და რაოდენობა. ამ კულტურების მიმართ მოსახლეობის ინტერესი მაღალია, თუმცა, ისევ მცირე მიწიანობის გამო, მათი ნაწილი თავს იკავებს ამ კულტურების გაშენებისაგან.

გამომდინარე სარეალიზაციო პროდუქტების სიმცირიდან, მუნიციპალიტეტში არ მოქმედებს არცერთი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის სასაწყობო და სამაცივრე საწარმო, თუმცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ბოლო წლებში ყველა მუნიციპალიტეტში აშენდა ე.წ. ლოჯისტიკის ცენტრები, ხულოს შემთხვევაში იგი აღჭურვილია კარტოფილის და ხილ-კენკროვანი პროდუქტების დაფასოება შენახვაზე. ცენტრი ჯერჯერიობით ექსპლუატაციაში შესული არ არის. მისი მიზანმიმართული დატვირთვა გარკვეული შეღავათის მომტანი იქნება ადგილობრივი ფერმერებისათვის.

მეცხოველეობა ხულოს მოსახლეობისათვის ოდითგანვე ძირითადი აგრარული მიმართულება იყო. 2020 წლის მდგომარეობით 8,753 შინამეურნეობის ბალანსზე 27,908 მსხვილესა პირუტყვი ირიცხება, 1 მეურნეობაზე დაახლოებით 3 სული პირუტყვი მოდის, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ პირუტყვის რაოდენობა დამოკიდებულია სოფლის/თემის საკუთრებაში არსებულ სათიბ საძოვრებზე, შესაბამისად ყველაზე მეტად მეცხოველეობა განვითარებულია ღორჯომის და

დიდაჭარას მიმდებარე სოფლებში. რენტაბელური მეცხოველეობის პრინციპებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში არსებული სათიბ სამოვრების რაოდენობა 32%-ით ნაკლებია არსებული პირუტყვის შესანახად საჭირო ნორმაზე (1 სული პირუტყვი=1 ჰა სათიბ სამოვარი). აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ, ერთის მხრივ, სახეზეა ჭარბმოვება, რაც თავისთავად კიდევ უფრო ააქტიურებს მიწის გამოფიტვის პროცესს, ხოლო მეორეს მხრივ ფერმერს აიძულებს დამატებითი ხარჯები გაიღოს ხანგრძლივი ზამთრის პირობებში პირუტყვის გამოსაკვებად.

როგორც უკვე აღინიშნა, ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, მეცხოველეობა შემოსავლის ერთერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს - უმეტეს შემთხვევებში ადგილობრივი მოსახლეობა ოჯახურ პირობებში ამუშავებს რძეს ყველის, კაიმალის და მაწვნის სახით. კაიმალის და მაწვნის რეალიზაცია ძირითადად ტურისტებზე ხდება, რომელიც კოვიდ-19-ის პანდემიის გამო დროებით შეფერხებულია, ხოლო ყველის რეალიზაცია ძირითადად ბათუმის ბაზარზე ხდება. თუმცა მუნიციპალიტეტში არის რამდენიმე საოჯახო საწარმო, რომლებიც მეტნაკლებად აკმაყოფილებენ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს და საკუთარი პროდუქცია ქვეყნის სუპერმარკეტებში შეაქვთ, ასეთი საწარმოები უფრო მეტად განლაგებულია მდინარე ღორჯომის ხეობაში, თუმცა სოფელ დიოკნისში მდებარე ყველის საწარმო „ცეზარი“, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზით, აწარმოებს რამდენიმე სახის ყველს, მაწონს და აირანს, რომელსაც ყიდის როგორც ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ჰიპერმარკეტების ქსელში. ასევე აწარმოებს ექსპორტს.

გარდა მსხვილფეხა პირუტყვისა, მოსახლეობის საკუთრებაშია 200 სულამდე წვრილფეხა პირუტყვი - თხა და ცხვარი, და 7,000 ფრთაზე მეტი ფრინველი. პროდუქცია გამოიყენება მხოლოდ ადგილობრივი მოხმარებისათვის


მეცხოველეობის ერთერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი მიმართულებაა მეფუტკრეობა. მუნიციპალიტეტში სულ 1,864 ფუტკრის ოჯახია; ოჯახის საშუალო მოსავლიანობა დაახლოებით 18-20 კგ თაფლია. თაფლის დღევანდელი საბაზრო ფასიდან გამომდინარე (დაახლოებით 12-15 ლარი), ჩანს რომ მეფუტკრეობის შემოსავალი არც თუ მთლად უმნიშვნელოა ადგილობრივთათვის. ასევე აღსანიშნავია აჭარის მაღალმთიან რეგიონში გავრცელებული ე.წ. ჯარას თაფლი, რომელიც ამ ბოლო პერიოდში სულ უფრო პოპულარული ხდება და ახლახან მიიღო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი. ამასთან ერთად, აჭარაში შექმნილია ბიო ჯარა თაფლის ასოციაცია, სადაც ამჟამად 18 მეფუტკრეა გაერთიანებული მაღალმთიანი აჭარიდან და აწარმოებენ ბიოსერტიფიცირებულ ჯარას თაფლს. ჩვეულებრივი სკისაგან განსხვავებით, მას 30-40%-ით დაბალი მოსავლიანობა ახასიათებს, თუმცა, მისი სარეალიზაციო ფასი მინიმუმ 25 ლარია. ბოლო ორი წლის განმავლობაში ბიოსერტიფიცირების პროცესის მხარდამჭერი მერსი ქორი იყო, ამჟამად, ბიო ჯარას თაფლის წარმოების მდგრადობისათვის, შესაძლებელია სუბსიდირება გაკეთდეს სახელმწიფოს მხრიდან.

მოსახლეობის საკუთრებაში არსებულ მრავალწლიან ნარგავებს - კაკლოვან და კენკროვან-ხეხილოვან კულტურებს, უმნიშვნელო კომერციული დატვირთვა აქვთ. სარეალიზაციოდ განკუთვნილია მხოლოდ ახლად გაშენებული კენკროვანი და კაკლოვანი ბაღების პროდუქცია, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სრულად შესული მსხმოიარობაში. რაც შეეხება კურკოვან-თესლოვან ხეხილს, მისი სარეალიზაციოდ გამოყენება თითქმის არ ხდება, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ აქ წარმოებული ხეხილი ხასიათდება გემური და ეკოლოგიური უპირატესობით სხვა რეგიონებთან შედარებით.

მოსახლეობის ნაწილი ასევე აქტიურადაა ჩართული ტყის არამერქნული რესურსების გამოყენებაში, უფრო მეტიც, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყოფილია ბიო სერტიფიცირებული ზონები, სადაც მოსახლეობა აგროვებს ველურ მოცვს, ასკილს და სხვა ბალახეულ მცენარეებს, რომელიც შემდგომში აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებში გადამუშავდება და ექსპორტზე გადის როგორც ბიო პროდუქტი.

ხულოსაგან განსხვავებით შედარებით მრავალფეროვანია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობა, მიუხედავად მისი შედარებით მცირე მიწის რესურსებისა (16,965 ჰა სასოფლო სამეურნეო სავარგული იხ. დიაგრამა #6.1.5) დარგობრივი მრავალფეროვნება სახეზეა. ერთწლიანი კულტურებში ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი მეთამბაქოეობას უჭირავს, ასევე, ხულოსთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ბოსტნეულ ბაღჩეული კულტურების წარმოებაც, რაც ერთის მხრივ უფრო რბილი კლიმატური პირობების, ხოლო მეორეს მხრივ შუახევში არსებული ბოსტნეულის საჩითილე მეურნეობის არსებობითაა გამოწვეული. საჩითილე მეურნეობა 2019 წელს შეიქმნა აჭარის აგროსერვისცენტრის მიერ მუნიციპალიტეტში მებოსტნეობის განვითარების ხელშესაწყობად.


დიაგრამა #6.1.5



მეთამბაქოეობა შუახევის და ქედის მუნიციპალიტეტებში საბჭოთა პერიოდში განვითარდა, როდესაც აჭარაში მოქმედებდა თამბაქოს ფაბრიკა, მოწეული მოსავალი მთლიანად გადამუშავდებოდა აღნიშნული ფაბრიკის მიერ, დღეისათვის მთელი ეს ინფრასტრუქტურა მოშლილია და მოსახლეობა წარმოებულ პროდუქციას გადამყიდველებს აბარებს.


სულ ერთწლიანი კულტურებისათვის მუნიციპალიტეტში ათვისებულია 1,582.76 ჰა სახნავი ფართობი, აქედან 52% დატვირთულია სიმინდით, 29% კარტოფილით და 18% ბოსტნეულ ბაღჩეული კულტურებით. დეტალური ინფორმაცია იხ. დიაგრამა #6.1.6

დიაგრამა #6.1.6



მრავალწლიანი კულტურებიდან, ხულოსაგან განსხვავებით, მუნიციპალიტეტში მევენახეობაცაა განვითარებული, თუმცა ამ დარგს კომერციული დატვირთვა არ გააჩნია და უფრო საოჯახო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გარდა მევენახეობისა, საკმაოდაა განვითარებული კაკლოვანი კულტურების და ხეხილის წარმოებაც, კენკრის მოყვანა აქაც, როგორც ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის ფარგლები განხორციელდა და საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში. დეტალურად იხ. დიაგრამა # 6.1.7.

დიაგრამა # 6.1.7



არანაკლებ მნიშვნელოვანი სამეურნეო დარგია მეცხოველეობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, სულ მოსახლეობის საკუთრებაშია 17,942 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი,

საიდანაც 5,500 ფურია. აქაც, როგორც ხულოს მუნიციპალიტეტში მოსახლეობა ძირითადად რძის პროდუქტებს იყენებს სარეალიზაციოდ. ასევე უნდა აღინიშნოს რომ ხულოს მსგავსად აქაც სახეზე ჭარბოვება. (12,786 ჰა სათიბ საძოვარი 17,942 სულ პირუტყვზე), ამ შემთხვევაში პირუტყვის რაოდენობა 29%-ით აღემატება ნორმას.

ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ მსხვილფეხა პირუტყვის ჯიშობრივი სიწმინდე დიდად დაცული არ არის. მიუხედავად იმისა რომ სამინისტროს მიერ ჯერ კიდევ 2013 წელს ყველა მუნიციპალიტეტში ამოქმედდა ხელოვნური განაყოფიერების სამსახური, ხელშესახები შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს.

შუახვევის მოსახლეობის საკუთრებაშია 2,831 ფრთა ფრინველი და 3,165 სკა ფუტკარი, მეფუტკრეობა აქაც ერთერთი მნიშვნელოვანი დარგია მოსახლეობისათვის. აქაც, ხულოს მსგავსად, მოქმედებს ბიო ჯარა თაფლის ასოციაცია და რამდენიმე ფერმერი აწარმოებს ბიო სერტიფიცირებულ თაფლს.

საერთო ჯამში, ორივე მუნიციპალიტეტს, მიუხედავად თავიანთი მწირი მიწის რესურსებისა, გააჩნიათ გარკვეული პოტენციალი აწარმოონ და შექმნან საკუთარი ნიშ პროდუქტები ბაზარზე სარეალიზაციოდ. დეტალური ინფორმაცია იხ. ცხრილი #6.1

ცხრილი #6.1

მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში წარმოებული პროდუქციის საბაზრო პოტენციალი						
კულტურა	საოჯახო მოხმარება		ბაზარზე რეალიზაცია		ექსპორტი	
	ხულო	შუახევი	ხულო	შუახევი	ხულო	შუახევი
კარტოფილი	კი	კი	კი	კი	არა	არა
სიმინდი	კი	კი	არა	არა	არა	არა
კაკალი	კი	კი	კი	კი	არა	არა
თხილი	კი	კი	კი	კი	კი	კი
კენკრა	კი	კი	კი	კი	კი	კი
თამბაქო	არა	კი	არა	კი	არა	კი
ბოსტნეული	კი	კი	არა	კი	არა	არა
ხეხილი	კი	კი	არა	არა	კი	კი
ღვინო	არა	კი	არა	არა	არა	არა
თაფლი	კი	კი	კი	კი	კი	კი
ტყის არამერქნული რესურსები	კი	კი	კი	კი	კი	კი
რძის პროდუქტები	კი	კი	კი	კი	კი	კი


6.2. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩართული ფერმერების გამოკითხვის შედეგები

კვლევის ფარგლებში გამოკითხული იყო მიზნობრივი რეგიონის 50 ფერმერი. მათი შერჩევა განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და აჭარის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული დარგობრივი სიების მიხედვით, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე. COVID-19 პანდემიის გამო, ინტერვიუს აღება იწარმოებოდა სატელეფონო ზარის განხორციელებით.

რესპოდენტთა დახასიათება:

გამოკითხულ რესპოდენტთა განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით


დიაგრამა #6.2.1



კვლევის ძირითადი აქცენტი ხულოს მუნიციპალიტეტზე იყო გაკეთებული და შესაბამისად, რესპოდენტთა 76%-ის გამოკითხვა ამ მიზნობრივ არეალში განხორციელდა.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სტაჟი:


დიაგრამა #6.2.2



გამოკითხულ ფერმერთა უმრავლესობა - გამოცდილი ფერმერები გახლდათ, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით 20-წელი და მეტი არიან დაკავებული (58%). სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ახლად დაწყებული (5 წელი და ნაკლები) - მხოლოდ 16% ჰქონდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა - კარგად ცნობს რეგიონის სასოფლო-სამეურნეო დარგს, მის

პრობლემებს და შესაძლებლობებს.


საქმიანობის სამართლებრივი ფორმა:
დიაგრამა #6.2.3



სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებულ პირთა შორის, მხოლოდ 18% იყო რეგისტრირებული ინდივიდუალურ მეწარმედ და 4% იყო ჩართული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეშვეობით. არცერთ რესპოდენტს არ გააჩნდა რეგისტრირებული შპს ან სხვა სახის იურიდიული პირი საქმიანობის განსახორციელებლად.

აღნიშნული მონაცემი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ მიზნობრივი მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სექტორი - ნაკლებად არის ორიენტირებული ბაზარზე და კომერციალიზაციის პრობლემებს განიცდის.


განათლება:
დიაგრამა #6.2.4



რესპოდენტთა 50%-ს საშუალო განათლება აქვს, თუმცა პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი განათლების მქონე პირთა ოდენობაც საკმაოდ მაღალია (46%). რესპოდენტთა 4%-მა თავი აარიდა კითხვაზე პასუხს, რაც იმის ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა, რომ აღნიშნულ პირებს საშუალო ან დაუსრულებელი საშუალო განათლება გააჩნია.

განათლების ტიპი:

დიაგრამა #6.2.5




სასოფლო-სამეურნეო სექტორში მომუშავე პირთა უფრო ზუსტი ანალიზის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია ისეთი მონაცემის ანალიზიც, როგორიც გახლავთ რესპოდენტთა განათლების ტიპი. საშუალო და სპეციალურ-ტექნიკურ განათლების პირთა ანალიზმა, დაგვანახა, რომ სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე პირთა წილი 0%-ია, ტექნიკური განათლების მქონეთა - 11.76%, ხოლო ეკონომიკური/მენეჯერული განათლების

მქონე პირთა წილი - 29.41%-ს შედგენს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სექტორი წარმოდგენილია შემთხვევითი პირებისაგან, რომლებიც ნაკლები პროფესიონალური უნარ-ჩვევებით გამოირჩევიან და სასოფლო-სამეურნეო წარმოება არ არის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ პრიორიტეტულ დარგად აღიარებული.

დარგში დაკავებულ პირთა უმრავლესობა - 58.82%, ან ჰუმანიტარული, ან საბუნებისმეტყველო სპეციალობების წარმომადგენლები არიან.

სასოფლო-სამეურნეო ტრენინგები (კვალიფიკაცია):

დიაგრამა #6.2.6




მოსახლეობის ასეთ დამოკიდებულებაზე სასოფლო-სამეურნეო დარგის მიმართ, მეტყველებს ასევე ეგრეთ წოდებული „ზრდასრულთა განათლების“ მაჩვენებელიც, რომელიც შემდეგი გახლავთ: სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულ პირთა 48%-ს არ აქვს გავლილი არც ერთი დარგობრივი

სასოფლო-სამეურნეო ტრენინგი, ხოლო სულ 2 ტრენინგი გავლილი აქვს მხოლოდ რესპოდენტთა 8%-ს. სავარაუდოდ, ამ ტრენინგების გავლაც დაკავშირებულია რეგიონში განხორციელებულ ან მიმდინარე სხვადასხვა საინვესტიციო პროექტებთან.

მოსახლების 2% და ეს სექტორი ძირითადად მეფუტკრეობის ინვენტარის (სკები, ჩარჩოები) წარმოებით შემოიფარგლება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები:

დიაგრამა # 6.2.9




კითხვაზე, თუ რა დანიშნულებით ახორციელებენ რესპოდენტები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, გაცემული პასუხების ანალიზმა ნათლად დაგვანახა, რომ მუნიციპალიტეტის ფერმერთა შორის - სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის საკითხი მეტად მწვავედ დგას, კერძოდ: არც ერთი აპლიკანტი არ არის სრულად ორიენტირებული საბაზრო მოთხოვნის

პროდუქტის წარმოებაზე, ხოლო ნამატი პროდუქტის რეალიზაციას, მხოლოდ 48%-ახორციელებს. რესპოდენტთა 6%-მა განაცხადა, რომ წარმოებულ პროდუქციას მთლიანად თავად მოიხმარს, ხოლო რესპოდენტთა 46%-ის მიერ პასუხზე თავის შეკავება, გვამღევეს შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული რესპოდენტებიც თვითუზრუნველყოფაზე არიან ორიენტირებულები.

გასაყიდი პროდუქცია:

დიაგრამა #6.2.10



აქვე არ შეიძლება არ გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, თუ რა ასორტიმენტის სარეალიზაციო პროდუქცია გააჩნიათ ადგილობრივ მწარმოებლებს. როგორც ვხედავთ 56%-ს სარეალიზაციოდ მხოლოდ 1 სახეობის პროდუქტი გააქვს, რაც ასეთი მეურნეობების მეტნაკლებად სპეციალიზებაზე მიგვანიშნებს, ხოლო 4 სახეობის პროდუქტის რეალიზაციის განმხორციელებელ მწარმოებელთა დიდი მოცულობა (36%) იმაზე მეტყველებს, რომ


დაბალი პროფესიონალიზმისა და მეურნეობის გრძელვადიანი განვითარების გეგმების არასრულყოფილების გამო, მწარმოებელთა ეს ნაწილი, ფინანსური უსაფრთხოების მიზნით, წარმოების დივერსიფიცირებას ცდილობს, რაც ხშირად, მცირემიწიანობის პირობებში, ნაკლებ სამეურნეო შედეგსაც იძლევა.

რესპოდენტთა გამოკითხვამ დაგვანახა ასევე იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ასორტიმენტი, რომელიც იწარმოება და გადის ბაზარზე ხულოს მუნიციპალიტეტიდან. ასევე დაფიქსირდა ის თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა რა წილი არის დაკავებული კონკრეტული პროდუქციის წარმოება-რეალიზაციით.


შრომითი რესურსების გამოყენების დინამიკა მეურნეობებში განხილული იყო რესპოდენტებისაგან 2019 და 2020 წლის დასაქმების მონაცემების მიღებით და მათი შემდგომი ანალიზის საფუძველზე.

მუდმივად დასაქმებულების რაოდენობა 2019-2020 წწ.:

დიაგრამა #6.2.12




დიაგრამა #6.2.13




მათ შორის ქალების წილი:

დიაგრამა #6.2.14




დიაგრამა #6.2.15




როგორც ვხედავთ, მუდმივად დასაქმებულების მონაცემები არ შეცვლილა, რაც მიუთითებს მეურნეობებში მნიშვნელოვანი ცვლილებების არარსებობაზე. აქვე აღსანიშნავია ქალების მაღალი ჩართულობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ისიც, რომ მხოლოდ ქალების ჩართულობით, მუნიციპალიტეტის არც ერთი მეურნეობა არ აწარმოებს საქმიანობას.

დროებით დასაქმებულთა მონაცემები 2019-2020 წწ.:

დიაგრამა # 6.2.16




დიაგრამა #6.2.17




როგორც ვხედავთ, დროებით დასაქმებულთა დინამიკაში ცვლილება უმნიშვნელო გახლდათ. 2020 წელს სეზონური მუშახელის გამოყენება გაზარდა არსებულ მწარმოებელთა მხოლოდ 2% მა.

ქალების წილი საქმიანობაში (დროებით დასაქმებულთა შორის):

დიაგრამა #6.2.18



დიაგრამა # 6.1.19




აქვე აღსანიშნავია, რომ 2-ით% მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების მიერ სეზონური მუშახელის დასაქმების წილის ზრდის ფონზე - ქალების დასაქმების წილი - არაპროპორციულად გაიზარდა (დაახლოებით 10%).

იქედან გამომდინარე, რომ სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა შორის გარედან მუშახელის დამსაქმებელი მწარმოებლების წილი საკმაოდ დაბალია (2019 წელს - 8% და 2020 წელს - 10%), შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელთა ძირითადი რაოდენობა მცირე ოჯახური მეურნეობის ბაზაზეა აწყობილი, სადაც საქმიანობა ძირითადად ოჯახის ძალებით ხორციელდება, ხოლო სეზონური მუშახელის აყვანა უკიდურეს აუცილებლობის შემთხვევაში ხდება (მოსავლის დათესვა/დარგვა, აღება ან გადარჩევა), როდესაც საჭიროა საქმიანობის მოკლე ვადაში შესრულება. აქვე უნდა

აღვნიშნოთ, რომ ოჯახურ მეურნეობების ყოველდღიურ საქმიანობაში ქალები აქტიურად არიან ჩართულები და ეს იმის ფონზე, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა 100%-მამაკაცი იყო.

ინფორმირებულობა ბიოწარმოების პრინციპების და ბიოპროდუქტების არსებობის შესახებ
დიაგრამა # 6.2.20




გარკვეული ინფორმირებულობა ბიოწარმოების პრინციპების შესახებ დააფიქსირა რესპოდენტთა 42%-მა. მათ ბიოწარმოების შესახებ ინფორმაცია მიიღეს ან არასამთავრობო სექტორის და ან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებზე დასწრებით. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ მყარი დასტური

ინფორმირებულობის შესახებ მიღებული იყო მხოლოდ რესპოდენტთა 18%-ისაგან, ხოლო დანარჩენმა გამოხატა პოზიცია იმის შესახებ, რომ გააჩნია გარკვეული ინფორმაცია ბიოწარმოების შესახებ, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ინტერვიუერის მხრიდან მოხდა იმის განმარტება თუ რას ნიშნავს ბიოწარმოება და ბიოპროდუქტი. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ რესპოდენტთა 56%-ს საერთოდ არ გააჩნია ინფორმაცია ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის შესახებ და პირველად ესმის.

თუ გადავხედავთ ბიოწარმოების შესახებ ინფორმირებულობისა და ბიოწარმოების პრინციპების გაზიარების ზოგად შედეგებს, შემდეგ სურათს დავინახავთ:

დიაგრამა # 6.2.21




- 18%-მა განაცხადა, რომ იცნობს ბიოწარმოების პრინციპებს და შეძლებისდაგვარად იყენებს მათ თავის მეურნეობაში;
- 24%-მა განაცხადა, რომ გააჩნია ინფორმაცია ბიოწარმოების პრინციპების შესახებ და სხვადასხვა მიზეზების გამო არ იყენებს მათ თავის საქმიანობაში;
- 56%-ს ჯერ არ გააჩნია ინფორმაცია ბიოწარმოების პრინციპების შესახებ და არ არის ჩამოყალიბებული გამოიყენებს თუ არა მათ თავის მეურნეობის საქმიანობაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის მიზეზები, რომლებიც დასახელებული იყო რესპოდენტების მიერ როგორც ბიომეთოდების გამოყენებაზე უარის თქმის არგუმენტი:

- 10% - გამოუცდელობა;
- 8% - ბიომეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებული მაღალი ხარჯები;
- 4% - ბიომეთოდების გამოყენების სირთულე;
- 2% - ქიმიური პრეპარატების გამოყენების აუცილებლობა.

ბიოწარმოებაში ჩართვის სურვილი:


დიაგრამა #6.2.22



აღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ უარის მიზეზი უფრო მეტად არის ბიოწარმოების პრინციპების, შესაძლებლობებისა და ტექნოლოგიების შესახებ ზედაპირული ცოდნა და შესაძლებელია, რომ წარმოდგენილ სტატისტიკურმა სურათმა, მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადოს წარმატებული მაგალითების გაცნობისთანავე. ბიოწარმოების წინააღმდეგ არამყარი პოზიციის არსებობაზე მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა შორის

მიუთითებს ასევე მზაობა ბიოწარმოების ჩართვაში, რომელშიც გამოვლინდა, რომ ჩართვის ინტერესი - რესპოდენტთა 90%-ს გააჩნია, ხოლო უარის არგუმენტი - 10% მწარმოებელს გააჩნია.

ბიოწარმოების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები
დიაგრამა #6.2.24



ბიოწარმოების შემაფერხებელ ძირითად ფაქტორებად თავის მნიშვნელობის მიხედვით ჩამოყალიბდა შემდეგი:


- 36% - ბაზრის არარსებობა;
- 36% - კლიმატი;
- 28% - მცირემიწიანობა;
- 18% - მაღალი თვითღირებულება;
- 16% - ფინანსებზე ხელმიუწვდომლობა;
- 8% - ირიგაციის პრობლემა;
- 6% - ნერგების და სათესლე მასალის ხელმიუწვდომლობა;
- 6% - ბიოპრეპარატების მაღალი ფასი;
- 4% - კონსულტაციების ხელმიუწვდომლობა;
- 4% - ცოდნისა და გამოცდილების არქონა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიოწარმოების შემაფერხებელ ფაქტორებად რესპოდენტთა მიერ

დაფიქსირდა ასევე ისეთი ფაქტორებიც, რომლებიც აფერხებს როგორც ბიო ასევე კონვენციულ წარმოებასაც, ხოლო ზოგიერთი ეს ფაქტორი - საერთოდ არ არის კავშირში ბიოწარმოებასთან, კერძოდ: ჰესის მშენებლობა, შხამ-ქიმიკატების უარყოფითი გავლენა და საგზაო ინფრასტრუქტურის პრობლემა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიოწარმოების შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა, მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელთა გარკვეულ ნაწილს შორის - მცდარ მოსაზრებებს ქმნის.

ბიოწარმოების ხელშეწყობი ფაქტორები:

დიაგრამა # 6.2.25



ბიოწარმოების ძირითად ხელშეწყობ ფაქტორებად რესპოდენტების მიერ დასახელდა შემდეგი:

- 56% - მწარმოებლების პირადი მოტივაცია;
- 36% - სახელმწიფოს მხარდაჭერა;
- 10% - ადგილობრივ ბაზარზე მზარდი მოთხოვნა;
- დონორების მხარდაჭერა.


აღსანიშნავია, რომ ბიოწარმოების ხელშეწყობი ფაქტორების ძირითადი წილი დაკავშირებულია მხოლოდ გარე ინტერვენციასთან, რომელიც ძირითადად დონორების და სახელმწიფოს ძალისხმევას

უკავშირდება. აქვე უნდა ვთქვათ, რომ მწარმოებლები თავის რესურსს ნაკლებად აფასებენ და მხოლოდ მოტივაციის დონეზე აფიქსირებენ, ხოლო ისეთ საბაზრო ფაქტორს, როგორიც გახლავთ კონკურენცია და ხელშეწყობ გარემოს (ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს) - საერთოდ ნაკლებად უწევს ანალიზს.

საბოლოო მომხმარებელთა მოტივაცია:

რესპოდენტთა მიერ ბიოპროდუქტების შეძენის საბოლოო მომხმარებლების მოტივაცია შეფასდა შემდეგნაირად:

დიაგრამა # 6.2.26




აქ როგორც ვხედავთ, მოტივაციის მთავარ პუნქტებს წარმოადგენს მეტად პრაგმატული მოსაზრებები, რომლებიც ეხება ბიოპროდუქტების სამომხმარებლო პოტენციალს, კერძოდ: ჯანმრთელობაზე ზრუნვა, პროდუქტის სამომხმარებლო ხარისხი (მართალია არ არის დეტალურად აღწერილი თუ რა იგულისხმება) და გემოვნური თვისებები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გარემოს დაცვის საკითხს, მწარმოებელთა

უმრავლესობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

წარმოების არსებული რესურსები:


დიაგრამა # 6.2.27



გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლების რესურსები კონცენტრირებულია მესაქონლეობისა და მეფუტკრეობის სექტორებში, რაც ერთს მხრივ - რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარების ისტორიის მემკვიდრეობას წარმოადგენს, ხოლო მეორეს

მხრივ - რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სექტორის დივერსიფიცირების საჭიროებაზე და მის თანამედროვე პროცესების განვითარებისაგან ჩამორჩენაზე მიგვითითებს.

წარმოების გეგმები:
დიაგრამა # 6.2.28



დაფიქსირებული მონაცემებიდან გამომდინარე, მეტად ყურადსაღებია ის, რომ რესპოდენტთა 38%-არ გააჩნია არც გეგმა და არც მოსაზრება იმის შესახებ, თუ რას მოიმოქმედებს შემდგომში და სრულად ინერციით მოქმედებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპოდენტთა 16% გეგმავს მეურნეობის

დივერსიფიცირებას და ახალი სახეობის პროდუქტების დანერგვას, ხოლო 6%- უშუალოდ ბიოწარმოებაში ჩართვას.

ბიოწარმოების განვითარების ხელშეწყობისათვის საჭირო ქმედებები
დიაგრამა # 6.2.29



ბიოწარმოების განვითარებისათვის ხულოს მუნიციპალიტეტში, რესპოდენტების მიერ შემდეგი საჭიროებები დაფიქსირდა:

- 90% - სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობა;
- 54% - ფინანსური მხარდაჭერა;
- 28% - პროდუქციის რეალიზაციაში ხელშეწყობა;
- 26% - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა;
- სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის

მოწესრიგება;


- 10% - საწარმოო საშუალებების ხელმისაწვდომობაში ხელშეწყობა (ბიოპრეპარატები, სანერგე/სათესლე მასალა).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მწარმოებლების მიერ დასახელებულ საჭიროებებს შორის მხოლოდ მატერიალური საჭიროებები სახელდება და ეს საჭიროებები როგორც ბიოწარმოების, ასევე კონვენციული სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასაც ეხება.

მიღებული ტექნიკური დახმარება:

დიაგრამა # 6.2.30

როგორც უკვე იყო აღნიშნული რესპოდენტების მიერ, ხულოს მუნიციპალიტეტში




განხორციელდა და მიმდინარეობს სხვადასხვა დონორებისა და სახელმწიფოს ხელშეწყობი პროექტები, რომლებიც მოიცავენ როგორც საინვესტიციო დახმარებას, ასევე ტექნიკური დახმარების კომპონენტს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხულოს მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდის განმავლობაში მრავალი საერთაშორისო

(ENPARD პროგრამის 3 ეტაპი, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამა, UNDP-აჭარა, Mercy Corps და სხვ.) და სახელმწიფო პროგრამების (აწარმოე საქართველოში, აჭარის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აჭარის წყალი) მრავალი ეტაპი განხორციელდა, რესპოდენტების მიერ დაფიქსირებული საგრანტო და ტექნიკური დახმარების შედეგები მეტად მცირეა იმის გათვალისწინებით, რომ რესპოდენტების შერჩევა განხორციელდა იმ სიების მიხედვით, რომლებიც შედგენილი იყო ამ პროგრამებში ჩართულ/მონაწილეობის მიმღებ ბენეფიციარების აღრიცხვის საფუძველზე. აღნიშნული მაჩვენებლები მეტყველებს იმაზე, რომ დაფიქსირებული შედეგები - მოსახლეობა, სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლების დაბალი მაჩვენებლისა და ზრდასრულთა განათლების პროგრამებში მონაწილეობის დაბალი აქტივობის გამო, ნაკლებად სარგებლობს არსებული შესაძლებლობებით საკუთარი ბიზნესის განვითარებისათვის.

ინფორმაცია დონორებისაგან დახმარების მიღების შესახებ:

რესპოდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია აფიქსირებს იმ ძირითადი დახმარების წყაროებს, რომლებითაც განხორციელდა ტექნიკური თუ ფინანსური ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში:

დიაგრამა # 6.2.31




როგორც ვხედავთ, წამყვანი პოზიცია მუნიციპალიტეტის ფერმერთა ხელშეწყობაში აჭარის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებს უჭირავს (18%), ხოლო შემდეგი პოზიციები (6-6%) ასევე სახელმწიფო დახმარების პროგრამებს - აწარმოე საქართველოში და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ პროგრამებზე მოდის. ამ ფონზე -

საერთაშორისო დონორების მიერ გაწეული დახმარება უმნიშვნელოა და 4%-ს არ აღემატება.


პროგრამების განხორციელების აქტივობა წლების მიხედვით:

დიაგრამა # 6.2.32



პროგრამების განხორციელების აქტივობა როგორც ვხედავთ მეტად ინტენსიური იყო 2018-2019 წლებში, ხოლო 2020 წელს ეს აქტივობა შემცირებულია, რაც, სავარაუდოდ, COVID-19-ის პანდემიით არის გამოწვეული.

ბიოწარმოების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები
დიაგრამა # 6.2.33



ბიოწარმოების განვითარებაზე ხულოს მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები შემდეგ იმედებს ამყარებენ:

- 60% - ინვესტირებას ძირითად საშუალებებში;
- 22% - ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდას;
- 10% - ბიო სანერგე/სათესლე მასალების ხელმისაწვდომობის გაზრდას;
- 4% - ტრენინგებისა და

კონსულტაციების დახმარებით, კვალიფიკაციის ამაღლებას.

6.3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელთა გამოკითხვის ძირითადი დასკვნები

- ხულოს მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო წარმოება კონცენტრირებულია მცირე საოჯახო მეურნეობებში, რომლებიც მეტწილად ორიენტირებული არიან თვითუზრუნველყოფაზე და მხოლოდ ზედმეტი პროდუქტის რეალიზაციაზე. მუნიციპალიტეტის დარგი მეტწილად წარმოდგენილია ისეთი ტრადიციული მიმართულებებით, როგორებიცაა ტრადიციული მესაქონლეობა, მეფუტკრეობა და მეკარტოფილეობა, რომლებიც წარმოადგენენ საოჯახო შემკვიდრეობას. დამატებით, ფერმერები მცირე რაოდენობით აწარმოებენ სიმინდს, ლობიოს და ხეხილს, რომელსაც არ გააჩნია კომერციული დატვირთვა და თითქმის სრულად არის საკუთარი მოხმარებისათვის განკუთვნილი. თუმცა, ბოლო პერიოდის განმავლობაში ცალკე სექტორებად (მაგრამ ჯერ კიდევ ჩანასახის სახით) დაიწყო გამოვლენა ისეთმა სასოფლო-სამეურნეო მიმართულებებმა, როგორებიცაა კენკრის და კაკლოვანი კულტურების წარმოება. მუნიციპალიტეტის ფერმერთა მიერ სასოფლო-სამეურნეო დარგი, მიუხედავად მასზე მათი შემოსავლების ძლიერ დამოკიდებულებისა და მასში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილების, არ მიიჩნევა პერსპექტიულ დარგად (რაც გამოიხატება ამ დარგში მოღვაწე პირთა შორის სპეციალური განათლების არარსებობით და „ზრდასრულთა განათლების“ პროცესში ნაკლებად ჩართულობით);

- მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელთა მხოლოდ მცირე ნაწილს გააჩნია მეურნეობის განვითარების ან დივერსიფიცირების განზრახვა, ხოლო ძირითადი ნაწილი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული მეურნეობის შემდგომი განვითარების გეგმაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, სიახლის დანერგვის სურვილი საკმაოდ მაღალია, რასაც ხელს უშლის ინფორმაციის ნაკლებობა. ადგილობრივ მწარმოებელთა დიდი ნაწილს არ გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რომლებიც საჭიროა მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების და მეთოდების განსახორციელებლად და საქმიანობა მეტწილად ხელის შრომის გამოყენებით ხორციელდება, რომელშიც ქალთა ხელის შრომის გამოყენების წილი საკმაოდ მაღალია. მუნიციპალიტეტის მწარმოებლები/ფერმერები ნაკლებად სარგებლობენ იმ შესაძლებლობებით, რომელსაც მათ სთავაზობს როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო პროექტები. მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების მიერ ნაკლებად გამოიყენება ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ინტენსიური მეთოდები და მეურნეობების მოსავლიანობა დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა;
- ხულოს მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა მცირე ნაწილს გააჩნია ინფორმაცია ბიოწარმოების პრინციპებისა და მეთოდების შესახებ, ხოლო მათ შორის დიდი ნაწილის მიერ ინფორმაცია მიღებული აქვს არასრულფასოვნად, რაც გარკვეულ ურთიერთსაპირისპირო და ურთიერთგამომრიცხავი დასკვნების გაკეთების საფუძველს ქმნის. ბიოწარმოების დანერგვას მუნიციპალიტეტში რესპოდენტთა უმეტესობა (90%) დადებითად უყურებს და გარკვეულ დადებით სამეურნეო იმედებსაც ამყარებს. რესპოდენტთა მიერ მკაფიოდ არის გამოხატული ბიოწარმოებისა და ბიოპროდუქტების წარმოების ძირითადი მოტივაციის ასპექტები, რომლებიც, ხელსაყრელი პირობების შექმნის შემთხვევაში, შესაძლებელია გარდაიქმნას კარგ იმპულსად მუნიციპალიტეტში ბიოწარმოების განვითარებისათვის;

7. ფოკუს ჯგუფების გამოკითხვის შედეგები

კვლევის პროცესში ფერმერების გამოკითხვასთან ერთად, ჩატარდა ფოკუს ჯგუფების შეხვედრები, რომლის დროსაც განხორციელდა ჯგუფური გამოკითხვა წინასწარ მომზადებული კითხვარის მიხედვით. კითხვარი შედგებოდა ღია კითხვებისაგან და შეხვედრის მონაწილეებს მიეცათ დისკუსიის გამართვის შესაძლებლობა. დისკუსიის პროცესში მიღწეული შედეგები (პასუხი კითხვებზე) ჯგუფთან შეთანხმებით ფიქსირდებოდა და ეცნობოდა ჯგუფის წევრებს.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები შერჩეულები იყვნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებულ ფერმერთა სიებიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და ყურადღება ექცეოდა იმას, რომ ფოკუს ჯგუფებში არ მომხდარიყვნენ ინდივიდუალურად გამოკითხული პირები.

7.1. ფოკუს ჯგუფების შეხვედრები

ფოკუს ჯგუფის შეხვედრა #1 (12.01.2021)



ფოკუს ჯგუფის შეხვედრას დაესწრო 10
ფერმერი (მათ შორის 1 ქალი).

#1 ფოკუს ჯგუფის გამოკითხვის შედეგები:

ფოკუს ჯგუფის წევრებმა დააფიქსირეს, რომ ბიომეთოდების გამოყენება დღეს ხდება მხოლოდ კენკროვანი კულტურების წარმოების პროცესში და ისიც „სპონტანურად“. სიტყვა სპონტანური გამოყენებული იყო იქედან გამომდინარე, რომ კენკროვანი კულტურების გაშენების პროცესში ფერმერებს ჩაუტარდათ ტრენინგები, რომლის ფარგლებშიც მათთვის შეთავაზებული იყო ბიოპრეპარატების გამოყენება მოსავლის მიღების პროცესში, რასაც ფერმერები მიყვნენ და ნაკლებად გაათვითცნობიერეს თუ რა განსხვავება იყო ბიო და არაბიო წარმოებას შორის.

ფოკუს ჯგუფის წევრების მიერ ბიოწარმოებისათვის პერსპექტიულ პროდუქტებად მიჩნეული იყო:

- კენკრა,
- ხილი,
- ბოსტნეული და
- თამბაქო,

ხოლო ექსპორტის პოტენციალის მქონე ბიოპროდუქტებად:

- კენკრა,
- ხილი,
- თამბაქო.

ამასთან ერთად, ფოკუს ჯგუფის მიერ ვერ დასახელდა ბიოპროდუქტების ექსპორტის ხელშემწყობი ვერც ერთი ქმედება ან ღონისძიება.

ჯგუფის წევრების მიერ ბიოპროდუქტების წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა:

- სპეციალური ცოდნის მიღება ბიომეურნეობის წარმოების საკითხებში;
- ნიადაგის ანალიზის გაკეთების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- საბაზრო მოთხოვნების შესწავლა;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- სარგავი და სათესო მასალების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ფერმერების ინფორმაციული უზრუნველყოფა და ეფექტური საკონსულტაციო მომსახურეობის ჩამოყალიბება.

ფოკუს ჯგუფის შეხვედრა #2 (13.01.2021)



ფოკუს ჯგუფის შეხვედრას დაესწრო 10 ფერმერი (მათ შორის 1 ქალი).

#2 ფოკუს ჯგუფის გამოკითხვის შედეგები:

ფოკუს ჯგუფის წევრებმა დააფიქსირეს, რომ მათ მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პროცესში ფაქტიურად არ გამოიყენება ქიმიური სასუქები, პერბიციდები და პესტიციდები. ამასთან, მათ ხაზი გაუსვეს, რომ ჯგუფის ყველა მონაწილე მცირე ფერმერის კატეგორიას მიეკუთვნებოდა და ფერმერულ მეურნეობას ძირითადად ოჯახის წევრთა ძალით უძღვებოდა. აგროტექნიკური ოპერაციების განსახორციელებლად ისინი ან ხელით შრომას, ან, იშვიათ შემთხვევებში, მოტობლოვს იყენებენ. სამეურნეო შენობა ნაგებობებიდან ძირითადად გააჩნიათ ტრადიციული „ნალია“ სიმინდისა და საქონლის საკვების შესანახად და მცირე ზომის ბოსელი, რომელიც საკარმიდამო ნაკვეთის ტერიტორიაზეა განლაგებული. დამსწრეთა 40%-ს გააჩნდა საკუთარი მსუბუქი ავტომანქანა, ხოლო 2 ჯგუფის წევრს - დაბალი ტვირთამწეობის სატრანსპორტო საშუალება, რომლებსაც იყენებენ თავის ყოველდღიურ სამეურნეო საქმიანობაშიც და გადასადგილებლად.

ჯგუფის წევრ ფერმერების მიერ იწარმოება შემდეგი ასორტიმენტის პროდუქცია, რომლის წარმოებაშიც ისინი იყენებენ ბიომეთოდებს:

- კენკროვანი კულტურები (მოცვი, ჟოლო, მოცხარი);
- კაკალი;
- კარტოფილი;
- სიმინდი;
- ლობიო;
- ბოსტნეული;
- ხილი.

ამასთან, თითქმის ყველა ჯგუფის წევრს გააჩნია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ხოლო ჯგუფის 2 წევს - საფუტკრე მეურნეობა. *აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფის წევრებისათვის შეხვედრის დაწყებისას საჭირო გახდა იმის ახსნა, თუ რას წარმოადგენს ბიომეურნეობა და რა განსხვავებაა ბიო და არაბიო მეურნეობას შორის.*

ბიოწარმოების ძირითადი პრინციპის განხილვის შემდგომ მათ დააფიქსირეს მოსაზრება, რომ მათ მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები „თითქმის ბიოპროდუქტებია“.

რესპოდენტ ჯგუფის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ხორციელდებოდა როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე - სარეალიზაციოდ. სარეალიზაციოდ მათ მიერ ძირითადად შემდეგი პროდუქტების ჩამონათვალი იწარმოება:

- ჟოლო;
- მოცვი;
- მოცხარი;
- კაკალი;
- კარტოფილი;
- ლობიო;
- ბოსტნეული;
- ყველი;
- კაიმალი (არაჟანი);
- იალი (კარაქი);
- ხორცი;
- თაფლი.

ექსპორტისათვის პერსპექტიულ პროდუქტებად ფოკუს ჯგუფის მიერ, ისევ ანალოგიური ჩამონათვალი იყო წარმოდგენილი, მაგრამ ძირითადი აქცენტი მაინც კენკრაზე, კარტოფილზე, თაფლზე და რძის ნაწარმზე გაკეთდა.

ფოკუს ჯგუფის განცხადებით, ბიოპროდუქტის ექსპორტისათვის დღეს ქმედებები არ ხორციელდება იქედან გამომდინარე რომ ბიოპროდუქტების წარმოებაზე აქცენტი არც კეთდება. მართალია აქვე აღინიშნა, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ხორციელდება ფერმერული მეურნეობების ხელშეწყობი საინვესტიციო პროექტები, რომლის ფარგლებშიც გაშენებულ კენკრის ბაღების მეპატრონეებს უტარდებათ ტრენინგები ბიოპრეპარატების გამოყენების საკითხებზე კენკრის წარმოების პროცესში.

საჭირო ხელშეწყობ ფაქტორებად ფოკუს ჯგუფის მიერ დასახლდა შემდეგი:

- ინფორმაციის გავრცელების საჭიროება ბიოწარმოების შესახებ და მუნიციპალიტეტის სოციალური ანალიზის ჩატარება;
- ფერმერთა გაერთიანებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა (და ხაზი გაესვა ამ გაერთიანების „მიზნობრიობის“ აუცილებლობას);
- სპეციალური ცოდნის მიღების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი პროდუქტების პოპულარიზაციის ხელშეწყობა (იგულისხმება ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილწარმოშობა, გარკვეულ წილად - ბრენდირება);
- მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგის სუბსიდირება, ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა;

7.2. ფოკუს ჯგუფების გამოკითხვის შემაჯამებელი დასკვნები

მუნიციპალიტეტის ფერმერებს ნაკლებად გააჩნიათ ინფორმაცია და მითუმეტეს ცოდნა ბიოწარმოების პრინციპების შესახებ, ხოლო ტრადიციული წესით მეურნეობის წარმოებას - ბიოწარმოებას უწოდებენ;

მუნიციპალიტეტში ნაკლებად გამოიყენება ქიმიური სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებები, რაც კარგ წინაპირობას ქმნის ბიოწარმოების დანერგვისათვის, მითუმეტეს, რომ ტრადიციული მეთოდების გამოყენების არაეფექტურობის გამო - მოსავლიანობა ისედაც ძალიან დაბალია;

მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო დარგი განიცდის ინფორმაციულ და ტექნიკური დეფიციტს;

მუნიციპალიტეტის ფერმერები, ხელშემწყობი პროექტების ფარგლებში განხორციელებული საინფორმაციო კამპანიისა და ტრენინგების გავლენის ქვეშ, იოლად ითვისებენ თანამედროვე, მათ შორის ბიომეთოდებს.

8. განვითარების პროგრამების გამოკითხვის შედეგები



კვლევის პროცესში განხორციელდა ხულოს მუნიციპალიტეტში მოქმედი სახელმწიფო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო პროგრამების წარმომადგენლების გამოკითხვა. გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა ორგანიზაციების და პროგრამების განხორციელებული აქტივობებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციისა და დაგროვილი გამოცდილების გაზიარება ბიოწარმოების ხელშემწყობისა და განვითარების პერსპექტივის შეფასების კუთხით.

ინტერვიუები რესპოდენტებთან ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს სახით. გამოყენებული იქნა წინასწარ მომზადებული კითხვარი, რომელშიც შესული იყო როგორც დახურული, ასევე ღია კითხვები.

რეგიონში დაფიქსირებულ 11 მოქმედ სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და უწყებიდან, ინტერვიუზე თანხმობა განაცხადა 9 წარმომადგენელმა, ხოლო 1 ორგანიზაციის მიერ, ინტერვიუზე თანხმობის მიღების პროცედურის გახანგრძლივებამ (რაც გამოწვეული იყო ამ ორგანიზაციის შიდა


პროცედურებთან მისი წარმომადგენლის მიერ ინტერვიუს გაცემაზე), გადააცილა ინტერვიუს ადების ვადა კვლევის ვადებს და ამ ორგანიზაციის მონაცემები არ აისახა წარმოდგენილ კვლევაში.

8.1. კვლევის შედეგები:

ინფორმაცია რესპოდენტების შესახებ - რესპოდენტთა დახასიათება

კვლევაში მონაწილეობა მიიღო:

დიაგრამა # 8.1.1



რესპოდენტების განაწილება კატეგორიების მიხედვით ასახავს რეგიონის საქმიანობაში ჩართულობის დონეს და აქ ყველაზე დიდი წილი სახელმწიფო ორგანიზაციებს ეკუთვნის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დონორებს მონაწილეობის ნაკლები მაჩვენებელი გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ ასეთი

ტიპის ორგანიზაციები, როგორც წესი თავად ნაკლებად არიან ჩართულები უშუალოდ პროექტების განხორციელების პროცესებში და ძირითადად ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს აფინანსებენ ამა თუ იმ პროექტის განსახორციელებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპოდენტ ორგანიზაციებს შორის, რეგიონში საქმიანობის გამოცდილების ყველაზე მცირე პერიოდი - 4 წელს შეადგენდა.

წარმოდგენილ რესპოდენტთა უმრავლესობის საქმიანობის არეალი ცდება ხულოს მუნიციპალიტეტს და მხოლოდ ორი ორგანიზაციის საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ ხულოს მუნიციპალიტეტის ფარგლებით.


საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების და პროექტების ბიუჯეტების მოცულობები მერყეობს 600,000 ლარისა და 29,000,000 ლარის ფარგლებში, თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ბიუჯეტები არ იყო სრულად გამიზნული მხოლოდ .ხულოს მუნიციპალიტეტში აქტივობების განსახორციელებლად.

ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების და საქმიანობების ძირითად მიზნებს წარმოადგენს როგორც ადგილობრივ მწარმოებელთა გაძლიერება ინვესტიციების განხორციელებით, ასევე ტექნიკური დახმარების გაწევა როგორც ახალი ცოდნის შეძენისათვის და უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისათვის და რეგიონის მოსახლეობის შემოსავლების წყაროების დივერსიფიკაციისათვის.

აღნიშნული მიზნები მიიღწევა ტრენინგების ჩატარებით, კონსულტაციების გაწევით, საგრანტო პროგრამების განხორციელებით, სტანდარტების დანერგვაში ხელის შეწყობით,

სადემონსტრაციო მეურნეობების მოწყობით და სხვა რეგიონის განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელებით.

დიაგრამა # 8.1.2



გამოკითხული ორგანიზაციებისათვის ბიოწარმოების ხელშემწყობი საქმიანობების განხორციელება 50% შემთხვევაში არ იყო პირდაპირი; 30% შემთხვევაში შერეული იყო სხვა ძირითად აქტივობებთან და 20% შემთხვევაში - გარკვეულ ცალკე ინიციატივას წარმოადგენდა, რის საფუძველზეც შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ბიოწარმოების განვითარებაზე


ხულოს მუნიციპალიტეტში არ განხორციელებულა მიზანმიმართული ქმედებები და ბიოწარმოება მუნიციპალიტეტისათვის ახალ გამოწვევას წარმოადგენს.

თუ განვიხილავთ უფრო დეტალურად, ბიოწარმოების ხელშემწყობ განხორციელებულ პროექტებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

- ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 1 კენკროვანი კულტურის წარმოების ბიომეურნეობას;
- 1 ბიოთაფლის წარმოების პროექტს კოოპერატივის ფარგლებში, რომელიც ჯარას თაფლის წარმოებით არის დაკავებული;
- 1 საინფორმაციო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავდა ბიოწარმოების პოპულარიზაციას და საინფორმაციო დონეზე განხორციელდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ეხმიანებოდა ბიოწარმოების ხელშემწყობი პროგრამის დაწყების გეგმას საქართველოს მასშტაბით, რომელიც არ დაიწყო დაფინანსებაზე უარის მიღების გამო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც საერთაშორისო და არც ადგილობრივი ორგანიზაციების და ასევე სახელმწიფო უწყებების უმრავლესობის მხრიდან არ იქნა დაფიქსირებული მზაობა, ან უახლოეს გეგმებში ბიოწარმოების ხელშემწყობი აქტივობების განხორციელების განზრახვა. მხოლოდ აჭარის გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზედა მენეჯმენტის ემელონს დონეზე გაჟღერდა ბიოწარმოების განვითარების საკითხის წინა პლანზე წამოწევის გეგმა.

ბიოწარმოების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები:
დიაგრამა # 8.1.3



ბიოწარმოების ყველაზე მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად დაფიქსირდა ცოდნის ნაკლებობა ბიოწარმოებისა და მისი პერსპექტივების შესახებ - 90%. ნაკლებად მნიშვნელოვან პრობლემებად მიჩნეული იყო:

- ექსპერტების ხელმიუწვდომელობა;
- საბაზრო ინფორმაციის


არარსებობა;

- მომხმარებელთა გაუთვითცნობიერება;
- ფინანსური რესურსების ხელმიუწვდომლობა.

ამასთან, დამატებით პრობლემებად ასევე დასახელებული იყო პრობლემები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ან ფერმერული მეურნეობების განვითარების დონესთან, ან კიდევ ბიოწარმოების საკითხის შესაბამისად შეუფასებლობასთან და მის მიმართ ყურადღების ნაკლებობასთან.

რესპოდენტების რეკომენდაციები პრობლემების აღმოსაფხვრელად:

დიაგრამა # 8.1.4



პრობლემის აღმოფხვრის რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რესპოდენტებს შორის საკმაოდ ფართო სპექტრის მოსაზრებები დაფიქსირდა:

- 30% - ექსპერტების მოწვევა;
- 30% - განვითარების გეგმის შედგენა;
- 30% - სადემონსტრაციო მოდელების მოწყობა;
- 30% - პრაქტიკული

ზედამხედველობის განხორციელება ბიომეურნეობების ჩამოყალიბების პროცესებში.

მნიშვნელობით შემდეგი კატეგორიის საკითხებად დასახელდა:


- ცნობიერების ამაღლება - 20%;
- ფერმერთა კონსულტირება - 20%;
- ექსტენციის სამსახურების ჩართვა - 20%;
- ტექნიკური დახმარების გაწევა - 20%;

ამასთან ერთად, რეკომენდირებული იქნა ასევე ბიოტექნოლოგიებისა და მეთოდების დანერგვა და სასაქონლო ჯაჭვების განვითარების ხელშეწყობა.

როგორც ჩანს რეკომენდაციების ჩამონათვალიდან, დღეს დღეობით არა მხოლოდ ხულოს მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლებს, არამედ დონორ ორგანიზაციებსაც და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს არ აქვთ ჩამოყალიბებული მიდგომები ბიოწარმოების განვითარების მიმართ, რაც ჩანს წარმოდგენილი მოსაზრებებიდან, არის ის, რომ ყველა აღიარებს როგორც ინფორმაციის ნაკლებობას ამ სეგმენტის ყველა დონეზე, ასევე ექსპერტების ხელშეწყობით, სტრატეგიისა და განვითარების გეგმის ჩამოყალიბების აუცილებლობას, რომელიც მოიცავს ყველა იმ ქმედებების განსაზღვრას, რაც საჭიროა ბიოსეგმენტის განვითარებისათვის.

ბიოწარმოების ხელის შეშწყოფი ფაქტორები:

დიაგრამა # 8.1.5



ბიოწარმოების განვითარების ძირითად ხელისშეშწყოფი ფაქტორებად რესპოდენტების მიერ დასახელდა:


- 60% - ნიადაგურ-კლიმატური ხელშეშწყოფი პირობები;
- 60% - ქიმიური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების შეზღუდული გამოყენება რეგიონში.

ამასთან ერთად, ერთ-ერთ ხელშეშწყოფი ფაქტორად ასევე

ტურისტების ნაკადის ზრდა იქნა მიჩნეული, ხოლო უშუალოდ ექსპორტი ხელშეშწყოფისათვის ხელშეშწყოფი ფაქტორად - საზღვაო და სახმელეთო კორიდორების და DSFTA-ს ხელშეკრულების არსებობა იყო ნახსენები.

მომხმარებლის მოტივაცია ბიოპროდუქტების შეძენისათვის:

დიაგრამა # 8.1.6



მომხმარებლის ძირითად მოტივაციად ბიოპროდუქტების შესაძენად, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელთა გამოკითხვის შედეგად, აქაც იგივე ძირითადი სამომხმარებლო მაჩვენებლები დაფიქსირდა, კერძოდ:


- 50% - ჯანმრთელობაზე ზრუნვა;
- 40% - ფასის;
- 30% - ხარისხი;

- 20% გემო.

მართალია, აქ უკვე გარკვეული ყურადღების წილი ასევე გარემოს დაცვასაც ერგო - 10%, მაგრამ იმია გათვალისწინებით, რომ აღნიშნული გამოკითხვის რესპოდენტები - განვითარების პროგრამების და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ. გარემოსდაცვითი გავლენის მნიშვნელობის დაკნინება ბიოწარმოების განვითარების პროცესში მეტად მოულოდნელი გახლდათ და მხოლოდ იმით შეიძლება ახსნა, რომ ხულოს მუნიციპალიტეტში და მთლიანად ზემო აჭარაში განხორციელებული ქმედებების და საქმიანობის დიდი ნაწილი

არის და იყო ეკონომიკურ განვითარებაზე და ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდაზე მიმართული და ბიოწარმოების შესახებ სიღრმისეული ცოდნა ნაკლებად არის.


საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტები ხულოს მუნიციპალიტეტში:
 დიაგრამა # 8.1.7



საექსპორტო პოტენციალის მქონე ბიოპროდუქტად ხულოს მუნიციპალიტეტში ფაქტიურად ერთხმად - კენკრა იყო დასახელებული (90%). ამასთან ერთად პერსპექტიულ პროდუქტებად ასევე თაფლი (50%), ხილი (60%) და რძის პროდუქტებიც (40%) დაფიქსირდა. გარკვეულ წილად საექსპორტო პოტენციალის მქონე ბიოპროდუქტებად ასევე კარტოფილი, სამკურნალო მცენარეები, გადამამუშავებული ხილი

(ჩირი და სხვა) და თამბაქოც იყო დასახელებული და ეს მიუხედავად იმისა, რომ კენკრა მუნიციპალიტეტის ახალ პროდუქტს წარმოადგენს და მისი მოსავლის მიღება მხოლოდ ეხლა იგეგმება, ხოლო რძის პროდუქტებისა და თაფლის ექსპორტი - მრავალ ვეტერინარულ პრობლემებთან არის დაკავშირებული (განსაკუთრებით რძის პროდუქტები).

ექსპორტის ხელშეწყობის საჭიროებები
 დიაგრამა # 8.1.8




ექსპორტის ხელშეწყობისათვის რესპოდენტების მიერ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ლოგისტიკური ცენტრების ჩამოყალიბებას (30%) მიენიჭა. მნიშვნელობით შემდეგ ეტაპზე პროდუქციის მასის ზრდა, ბიოსტანდარტების დანერგვა, საწარმოო ჯაჭვების განვითარება და საინფორმაციო უზრუნველყოფა დასახელდა (20% ყოველი), ხოლო დამატებით ხელშემწყობ

საჭიროებებად - პროდუქტისათვის საბაზრო სახის მიცემა, წარმოების სტიმულირება და საექსპორტო ბაზრებზე ქართული პროდუქტების პოპულარიზაცია იყო მიჩნეული (10% ყოველი).

ორგანიზაციების საჭიროებები, ბიოწარმოების პროცესში ჩასათვლელად.

დიაგრამა # 8.1.9




რესპოდენტ ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ ბიოწარმოებაში ჩართვისათვის მათ გააჩნიათ შემდეგი საჭიროებები:

- 60% - სპეციალისტების გადამზადება;
- 50% პროგრამების და დაფინანსების არსებობა;
- 40% - ცოდნის გაღრმავება;
- 20% - სახელმწიფოს მხარდაჭერა;
- 10% - კვლევების და შესაბამის ქსელებთან კონტაქტების არსებობა.

საწარმოო ქსელების საჭიროებები ბიოწარმოების პროცესში ჩართვისათვის:

დიაგრამა # 8.1.10



სასაქონლო ჯაჭვების საჭიროების განსაზღვრისას, ბიოწარმოების პროცესში ჩართვის მიზნით, რესპოდენტების მიერ 30%-იანი მნიშვნელობა საინფორმაციო უზრუნველყოფას, ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას და ცოდნის ამაღლებას მიენიჭა, 20%-იანი მნიშვნელობა დემო-მოდელის შექმნას და პოპულარიზაციას და 10%-სერტიფიცირების სისტემის დანერგვას ერგო.

8.2. ხულოს მუნიციპალიტეტში მოქმედი განვითარების პროგრამების გამოკითხვის დასკვნები

- კვლევაში წარმოდგენილი ორგანიზაციების ანალიზმა დაგვანახა, რომ რესპოდენტები გამოირჩევიან კომპეტენტურობით ხულოს მუნიციპალიტეტის განვითარების საკითხების მიმართებით და მათი მოსაზრება გასათვალისწინებელია რეგიონში ბიოწარმოების განვითარების შესაძლებლობის შეფასებისათვის. ამავდროულად, ყველა ორგანიზაციის მიერ დაფიქსირდა, რომ მათ მიერ არასოდეს განხორციელებულა მიზანმიმართული ქმედებები მუნიციპალიტეტში ბიოწარმოების განვითარებისათვის და არც ამჟამად განიხილება ამ მიმართულების განვითარების სპეციალური პროგრამის განხორციელება.
- ორგანიზაციების და პროგრამების მიერ დაფიქსირდა ისიც, რომ რეგიონში ნაკლებია მოსახლეობის გათვითცნობიერება ბიოწარმოების პრინციპების შესახებ და ამავდროულად, ხულოს მუნიციპალიტეტი გამოირჩევა სოფლის მეურნეობის არასაკმარისი განვითარების და ეკონომიკური პოტენციალის დონით. ამასთან, აღნიშნული ფაქტი განაპირობებს იმას, რომ ხულოს მუნიციპალიტეტში, ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარებლობის გამო, კარგი პოტენციალია ბიოწარმოების განვითარებისათვის, რისთვისაც საჭიროა არსებული და ახლად შექმნილი საწარმოო ჯაჭვების განვითარების ხელშეწყობა და საბაზრო კავშირების დამყარების უზრუნველყოფა.
- ხულოს მუნიციპალიტეტს გააჩნია ბიოწარმოების განვითარებისათვის პერსპექტიული საწარმოო ჯაჭვები, რომელთა ნაწილს გააჩნია კარგი პოტენციალი საექსპორტო ბაზრებისათვის (კენკრა, კარტოფილი, თაფლი, სამკურნალო მცენარეები, ხილი და ხილის პროდუქტები), ხოლო ნაწილს - ადგილობრივი ბაზრისათვის (რძის პროდუქტები, თაფლი, გადამუშავებული ხილი, კენკრა, კარტოფილი);
- ბიოწარმოების განვითარების ეფექტურობის მისაღწევად, რეკომენდირებულია ბიოწარმოების განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს როგორც ადგილზე საინფორმაციო კამპანიის წარმართვას, ასევე კადრების გადამზადებას, საპოპულარიზაციო კამპანიის განხორციელებას მიზნობრივ ბაზრებზე და ტექნიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას საწარმოო ჯაჭვების სრულად ჩამოყალიბებაში. ამავდროულად, საქმიანობაში საერთაშორისო და ადგილობრივი დონორების მოსაზიდად ბიოწარმოების სექტორში, მნიშვნელოვანია სტრატეგიის დოკუმენტისა და სტრატეგიული გეგმის მიღება და შესაბამისი კვლევების ჩატარება.

9. სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციით დაკავებული სავაჭრო ქსელების და ექსპორტიორების გამოკითხვის შედეგები

ბიოწარმოების პერსპექტივების და შესაძლებლობების განვითარების შეფასების მიზნით, კვლევის ფარგლებში განხორციელდა ვაჭრობის სფეროში დაკავებული კომპანიების გამოკითხვა. ინტერვიუს ალება აღნიშნულ სეგმენტის წარმომადგენლებთან განხორციელდა პირისპირ ინტერვიუს სახით წინასწარ მომზადებული კითხვარების დახმარებით, რომელშიც გამოყენებული იყო როგორც დახურული, ასევე ღია კითხვები.

რესპოდენტების შერჩევა მოხდა ბაზარზე მოქმედ მსხვილი მოთამაშეების შესახებ ინფორმაციის მოძიებით და მათი თანხმობის მიღებით.

გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობა გამოხატა 3 მსხვილი სუპერმარკეტის ქსელის წარმომადგენელმა და 1 მოქმედმა ექსპორტიორმა კომპანიამ.

იმის გამო, რომ ხულოს მუნიციპალიტეტში არ დაფიქსირდა არც ერთი მსხვილი სავაჭრო კომპანია ან მისი წარმომადგენლობა, რესპოდენტების მოძიება განხორციელდა აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებში (ძირითადად - ბათუმში).

9.1. ვაჭრობის სექტორის გამოკითხვის შედეგები

რესპოდენტთა დახასიათება:

რესპოდენტები წარმადგენენ აჭარის ბაზარზე მოქმედ და კარგად ცნობილ კომპანიებს, რომლებიც დაკავებულები არიან საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროებში, ხოლო ერთი კომპანია გახლავთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტიორი და ამავდროულად საწარმოო საშუალებების მწარმოებელი (ყუთები ხილისა და ბოსტნეულის მოსავლის დაფასოებისათვის), რომელიც თავის საქმიანობას მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს.

გამოკითხულ კომპანიების ოპერირების სტაჟი აჭარის ბაზარზე - 3-9 წლის ფარგლებში მერყეობს.

ბიოპროდუქტების რეალიზაციის გამოცდილება

გამოკითხვის შედეგად დაფიქსირდა, რომ არ ერთ რესპოდენტს არ გააჩნდა სპეციალური გამოცდილება ბიოპროდუქტებით ვაჭრობის, ხოლო ბიოპროდუქტების რეალიზაციასთან კავშირი შემოიფარგლა 2 სავაჭრო ქსელის გამოცდილებით, რომლიდანაც ერთ-ერთს ადგილობრივი ბიომწვანის რეალიზაცია, ხოლო მეორე სავაჭრო ქსელს - იმპორტირებული ბიოპროდუქტების (ბოსტნეულის კონსერვის) რეალიზაცია ჰქონდა განხორციელებული. აღსანიშნავია, რომ როგორც ერთი, ასევე მეორე ქმედება განხორციელებული იყო საერთო სასურსათო პროდუქტების რეალიზაციის ნაკადში და აღნიშნული პროდუქტების ბიოსტატუსის გაუთვალისწინებლად.

ცოდნა ბიოწარმოების პრინციპების შესახებ.

აღნიშნულ კითხვაზე, რესპოდენტთა 100%-ია მიერ უარყოფითი პასუხი იყო გაცემული, ხოლო ზოგმა აღიარა, რომ ბიოწარმოების და ბიოპროდუქტების შესახებ პირველად ინტერვიუერისგან მიიღეს ინფორმაცია.


სურვილი ბიოპროდუქტები რეალიზაციაში ჩართვის

სურვილი ბიოპროდუქტების რეალიზაციაში ჩართვის გამოხატა რესპოდენტთა 75%-მა (სავაჭრო ქსელების წარმომადგენელთა 100%), რომლებმაც თავისი ინტერესი ამ მიმართულების განვითარების მიმართ დაასაბუთეს იმით, რომ ბათუმის ბაზარზე, ტურიზმის განვითარების ფონზე, დიდი ინტერესია „ხარისხიანი პროდუქტის“ მიმართ, რომელსაც გამოხატავენ უცხოელი ტურისტები.

ექსპორტიორი კომპანიის წარმომადგენლის მიერ პასუხი გაცემაზე თავის შეკავება იყო გამოწვეული იმით, რომ მის მიერ ვერ იქნა იდენტიფიცირებული საკმარისი რაოდენობის ბიოპროდუქციის პოტენციალი ხულოს მუნიციპალიტეტში.

მოთხოვნადი ბიოპროდუქტების ჩამონათვალი

დიაგრამა #9.1.1




საცალო ვაჭრობის ქსელების მიერ, ბიოპროდუქტების მიმართ მომხმარებლის მთავარი ინტერესის ფოკუსი ცალსახად მემცენარეობის პროდუქტების, კერძოდ კი ხილისა და ბოსტნეულის მიმართ დაფიქსირდა.

ამავდროულად, დიდი ინტერესი გამოიხატა რძის პროდუქტების და ხორცის მიმართ. აქვე აღინიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ბიოპროდუქტების მიმართ მომხმარებლის ინტერესის გაღვივების და შემდგომ შენარჩუნების მიზნით, გარკვეული მინიმალური ასორტიმენტის ბიოპროდუქტების


არსებობის უზრუნველყოფა.

ბიოწარმოების შემაფერხებელი ფაქტორები
დიაგრამა #9.1.2



ბიოწარმოების და ბიობაზრის ჩამოყალიბების და განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად, ვაჭრობის წარმომადგენლობის მიერ პროდუქტის მცირე ოდენობები და ასორტიმენტი დასახელდა, ხოლო დამატებით ფაქტორებად - ინფორმაციის დეფიციტი, ნდობის ნაკლებობა, ინფრასტრუქტურის არარსებობა და სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა ბიოწარმოების საკითხებზე იყო დასახელებული.


ბიოწარმოების ხელშემწყობი ფაქტორები:
დიაგრამა #9.1.3



ბიოწარმოების და ბიოპროდუქტების გაყიდვების ხელშემწყობ ფაქტორად რესპოდენტებმა ყველაზე დიდი მნიშვნელობა COVID_19-ით გამოწვეულ დაავადებების ფონს და ბაზრის არსებობას მიანიჭეს, ხოლო დამატებით ხელშემწყობ ფაქტორებად - უცხოელების სიმრავლე, ექსპორტის გამოცდილების არსებობა და გადახდისუნარიანი მომხმარებლების სიმრავლე დასახელდა. რა თქმა უნდა აღნიშნული მონაცემები - ადგილობრივი ბაზრის კრილში უფრო იყო განხილული.

მომხმარებლის მიერ ბიოპროდუქტის შეძენის მოტივაცია

დიაგრამა #9.1.4



ძალიან მნიშვნელოვანი იყო ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებისაგან მომხმარებლის სავარაუდო მოტივაციის შესახებ მოსაზრების მოსმენა. ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლები მომხმარებელთა ძირითად მოტივაციად ჯანმრთელობის შენარჩუნებას ასახელებენ, ხოლო შემდგომი პოზიციები - ბიოპროდუქტების ხარისხმა და ფასმა დაიკავა.


აღსანიშნავია, რომ პროდუქტების რეალიზაციის კუთხით, ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების მიერ არ გამახვილებულა

ყურადღება არც გემოზე არც ეთიკაზე და არც გარემოს დაცვის საკითხებზე.

კითხვაზე, თუ რას ფიქრობენ რესპოდენტები ბიოპროდუქტების საწარმოო ჯაჭვში ჩართვის თაობაზე, რესპოდენტთა 100%-მა განაცხადა სურვილი და მზაობა.

ბიოპროდუქტების საწარმოო ჯაჭვის საჭიროებები

დიაგრამა #9.1.5




ბიოპროდუქტების წარმოების საქმეში საწარმოო ჯაჭვების განვითარების საჭიროებების მიერ სავაჭრო სფეროს წარმომადგენლების მიერ კითხვა - ბიოპროდუქტების რეალიზაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით იყო აღთქმული. მათი განცხადებით, კრიტიკულ ასპექტს წარმოადგენს კომპეტენტური კადრების მომზადება (75%) და მათი მონაწილეობით პერიოდულად აქციების წარმართვა სავაჭრო ობიექტებში (50%). ამასთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასევე ინფრასტრუქტურის განვითარებას (50%) და ფინანსურ მხარდაჭერას (25%).

ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებს შორის მხოლოდ ექსპორტიორი ორგანიზაციის მიერ იყო მიღებული ერთი ტექნიკური დახმარება ფინანსური ინსტიტუტისაგან. რაც შეეხება სავაჭრო ქსელების წარმომადგენლებს - მათ არასოდეს მიუღიათ არც ფინანსური და არც ტექნიკური დახმარება დონორის ან სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამებიდან.

მოლოდინები/რეკომენდაციები

დიაგრამა #9.1.6



სახელმწიფო ან სხვა განვითარების პროგრამების დახმარებით, რესპოდენტებს შემდეგი ხელშეწყობის იმედები გააჩნიათ:

- სერტიფიცირებაში ხელშეწყობა - 75%;
- ფინანსური მხარდაჭერა - 50%;
- კადრების გადამზადება - 50%;
- ბიოპროდუქციის მოცულობის გაზრდა - 50%;
- საინფორმაციო კამპანიის ჩატარება - 25%;
- საგანმანათლებლო მხარდაჭერა - 25%;
- ტექნიკური დახმარება

ექსპორტისათვის - 25%;

- მეწეჯმენტში ხელშეწყობა - 25%.

9.2. ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების გამოკითხვის დასკვნები

- ვაჭრობის სფეროს რესპოდენტებს გააჩნიათ წარმატებული და ხანგრძლივი საქმიანობის განხორციელების გამოცდილება აჭარის რეგიონში, რაც მათი მოსაზრებების კომპეტენტურობაზე მეტყველებს, მაგრამ ამავედროულად, მიუხედევად მათი საკმაოდ ფართო არეალში საქმიანობისა, მათ არ გააჩნდათ ინფორმაცია ბიოწარმოების და ბიოპროდუქტების განმასხვავებელი ნიშან-თვისებების შესახებ, რაც ბიოპროდუქტების შესახებ კრიტიკული ინფორმაციის ვაკუუმზე მეტყველებს;
- სავაჭრო ქსელების წარმომადგენლები დიდ პერსპექტივას ხედავენ ბიოპროდუქტების აჭარის ბაზარზე განთავსებაში, რაც მათი აზრით „ხარისხიანი“ პროდუქტების ცარიელი ნიშის შევსებას შეუწყობს ხელს, რაზეც უკვე საკმაოდ დიდი მოთხოვნა ფიქსირდება უცხოელ ტურისტების მხრიდან. ამასთან ერთად, ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბიოპროდუქტების გარკვეული აუცილებელი მინიმალური მოცულობის და

ასორტიმენტის არსებობას, როდესაც ექსპორტიორი კომპანიის მიერ ძირითადი აქცენტი კონკრეტული პროდუქტის მოცულობაზე და მის ლოგისტიკის ინფრასტრუქტურაზე კეთდება;

- ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების მხრიდან ძირითადი მოთხოვნა შემდეგი ასორტიმენტის ბიოპროდუქტებზე კეთდება: ხილი, ბოსტნეული, რძის პროდუქტები და ხორცი;
- ძირითად ხელის შემშლელ ფაქტორებად აღიარებულია პროდუქტების მცირე რაოდენობა რაც განპირობებულია ერთის მხრივ სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობით, ხოლო მეორეს მხრივ პოლიტიკის არარსებობიდან გამომდინარე ფაქტორებით: ინფორმაციის დეფიციტით, ნდობის არარსებობით და ინფრასტრუქტურის გაუმართაობით.
- რესპოდენტების მიერ ერთხმად იყო გამოხატული ბიოწარმოების განვითარების პროცესში ჩართვის მზაობა, ხოლო ძირითად საჭიროებებად დასახლებული იყო ტექნიკური დახმარების აუცილებლობა, კადრების გადამზადება, საპოპულარიზაციო აქციების ჩატარება და ინფრასტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანა. ასევე, დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს სერტიფიცირების სისტემის დანერგვის და თავად პროდუქტის შექმნისა და მოცულობის გაზრდის აუცილებლობას.


10. საქართველოს ბიოპროდუქტების საექსპორტო პოტენციალი

10.1 ინფორმაცია პოტენციური ბიობაზრების შესახებ

მსოფლიოს ბიობაზარი და საქართველოს საექსპორტო პოტენციალი

ბიო სასურსათო პროდუქტების სეგმენტის მსოფლიო ბაზარი – ჩამოყალიბებიდან დღემდე – სტაბილურად ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას. 2018 წლის მონაცემებით, მისმა საერთო მოცულობამ 97 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. 1999 წელთან შედარებით, როდესაც ბაზრის მოცულობა სულ 15,2 მილიონი დოლარი იყო, ეს მნიშვნელოვანი ზრდაა.

დიაგრამა 10.1.1 საერთაშორისო ბიობაზრის ზრდა, მლნ დოლარი¹




¹ წყარო: IFOAM.

ბოლო წლების განმავლობაში ბიოპროდუქტების ბაზარი ყოველწლიურად 7-9%-ით იზრდება.

სერტიფიცირების ორგანოს - კავკასსერტის, საექსპორტო პროდუქტების სერტიფიცირების მონაცემებით, 2018 წელს საქართველოდან 1,571,404 აშშ დოლარის სერტიფიცირებული ბიოპროდუქტების ექსპორტი განხორციელდა. აქედან უდიდესი ნაწილი - 1,376,158 აშშ დოლარი - არამერქნულ ტყის პროდუქტზე მოდის, რომლიდანაც 318,478 აშშ დოლარის პროდუქცია დანიაში, ხოლო 1,057,680 აშშ დოლარის პროდუქცია გერმანიაში გაიყიდა. ამავე პერიოდში გერმანიაში ასევე 173,676 აშშ დოლარის მოცულობის მწვანელი და 14,070 აშშ დოლარის ღვინის ექსპორტი განხორციელდა, ხოლო ჩეხეთში 7,500 აშშ დოლარის ჩაის რეალიზაცია მოხდა.

2019 წელს ბიოპროდუქტების ექსპორტი საქართველოდან 2018 წელთან შედარებით, 28,44%-ით გაიზარდა და 2,018,278 აშშ. დოლარს მიაღწია. ამავედროულად მოხდა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებაც და ქვეყნების წილის საქართველოდან ბიოპროდუქტების ექსპორტში შემდეგი სახით განაწილდა:

დიაგრამა 10.1.2 - ბიოპროდუქტების ექსპორტი საქართველოდან (2019 წელი):



როგორც ვხედავთ, დღეს საქართველოს ბიოპროდუქტების ექსპორტის ძირითადი წილი (48,6%) გერმანიაზე მოდის, რაც არ არის გასაკვირი, რადგან გერმანიის ბიოპროდუქტების ევროპის ერთ-ერთ უდიდეს ბაზარსა და იმავედროულად ერთ-ერთ უდიდეს ექსპორტიორს წარმოადგენს. ამასთან ერთად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 2019 წელს თურქეთმა ექსპორტის 41,87% დაიკავა და ეს მხოლოდ ერთი სახეობის (მირტკბილას) ექსპორტის ხარჯზე.

ქართული სერტიფიცირებული ბიოპროდუქტების ექსპორტი დღეს საკმაოდ მცირე მოცულობით და ასორტიმენტით გამოირჩევა. USAID/CNFA-ის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის („ბიოპროდუქტების ბაზარი საქართველოში: მოქმედი პირები, პრობლემები, შესაძლებლობები“) დროს ჩატარებულმა გამოკითხვამ დააფიქსირა როგორც პირველადი, ასევე მეორადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მრავალი მწარმოებელი საქართველოში, რომლებიც უკვე დღეს თავის წარმოებაში იყენებენ ბიომეთოდებს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ჯერ არ დგანან სერტიფიცირებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოს ბიოპროდუქტების ძირითად სტაბილურ მომხმარებელს - გერმანიის ბიოპროდუქტების წარმოადგენს, ქართულ ბიოპროდუქტების პოტენციურ ბაზრებად ასევე სხვა საექსპორტო ბაზრებიც შეიძლება იყოს განხილული.

ხულოს მუნიციპალიტეტის საერთაშორისო ბიოზაზრზე გასვლის პერსპექტივის შესაფასებლად, USA OTA Trade Datas 2011-2016 და eugeorgia.info-ს დაყრდნობით, რომლებიც ასახავენ სხვადასხვა ქვეყნების მოთხოვნას ბიოპროდუქტების იმპორტზე, განისაზღვრა აჭარის მიზნობრივი მუნიციპალიტეტის ბიოწარმოებისათვის პერსპექტიულად დასახელებული პროდუქტების შესაბამისად, ამ პროდუქტებით დაინტერესებული ქვეყნების იდენტიფიცირება, რის შედეგადაც შემდეგი ცხრილი იქნა მიღებული:

ცხრილი 10.1 - პოტენციური ბაზრები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთიანი რეგიონის ბიოპროდუქტების ექსპორტისათვის.

პროდუქტის დასახლება	გერმანია	ჩეხეთი	დანია	საფრანგეთი	იტალია	შვედეთი
ხილი						
ხილის წვენები						
ბოსტნეული						
ჩაი						
ჩირები						
კენკრა						
კარტოფილი						
გადამუშავებული ხილი (მურაბა, ტყლაპი, ჩურჩხელა და ა.შ.)						
არამერქნული ტყის პროდუქტები						

მნიშვნელოვანია ის, რომ ცხრილში მოყვანილ პოტენციურ პარტნიორებთან, საქართველოს DCFTA-ს ხელშეკრულების ფარგლებში - შეღავათიანი ექსპორტის განხორციელების პირობები გააჩნია, მაგრამ აქვე უნდა ითქვას იმ სტანდარტების და რეგულაციების შესახებ, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ქართული ბიოპროდუქტი იმისთვის, რომ ამ და ზოგადად სხვა განვითარებული ქვეყნების ბიოზაზრებზე მოხდეს. მსოფლიოს ძირითად რეგულაციებად და მოთხოვნებად ბიოპროდუქტების ბაზარზე რეალიზაციისათვის ითვლება შემდეგი:

- «EC 834/2007», «EC 889/2008» - ევროკავშირის ბიოპროდუქტების ბაზრისათვის;
- National Organic Program (NOP) - აშშ-ს ბიოპროდუქტების ბაზრისათვის;
- Japanese Agricultural Standard (JAS) - იაპონიის ბიოპროდუქტების ბაზრისათვის.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სამ კონკრეტულ ბაზარზე ექსპორტის განსახორციელებლად, აჭარის რეგიონის ბიომწარმოებელმა უნდა დააკმაყოფილოს ზემოთმოყვანილი სტანდარტების მოთხოვნები და გააჩნდეს შესაბამისი სერტიფიკატი.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ძირითადი მოტივები, რის გამოც განვითარებული ქვეყნების მომხმარებლები იძენს ბიოპროდუქტს. მომხმარებელთა ძირითად მამოძრავებელ ფაქტორებს წარმოადგენს

- სურსათის ეკოლოგიური უსაფრთხოება (ჯანმრთელობის ფაქტორი) ;
- პროდუქტების მაღალი ხარისხი;
- ბიოპროდუქტების უკეთესი გემო;
- წარმოების პროცესში გარემოს დაცვა;
- გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების აკრძალვა.

სწრაფად ზრდადი ბაზრების სეგმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რუსეთის და ჩინეთის ბაზრები.

რუსეთში ბიოპროდუქტების ბაზრის განვითარებას 2017 წლის 1 იანვრიდან ბიოპროდუქტების ნაციონალური სტანდარტის დამტკიცებამ ჩაუყარა საფუძველი და დღეს ამ ბაზრის სეგმენტის უდიდესი ნაწილი ევროპიდან იმპორტირებულ პროდუქტს უკავია, რის გამოც ფასთა სხვაობა 2-3 ჯერ აღემატება ანალოგიურ კონვენციურ პროდუქტების ფასს, როდესაც განვითარებულ ბაზრებზე ეს ფასთა სხვაობა 10-50%-ის ფარგლებში მერყეობს.

ჩინეთის ბაზრის სწრაფმა განვითარებამ იმის და მიუხედავად, რომ ჩინეთი ერთ-ერთ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელს წარმოედგენს, დღეს ბიოპროდუქტების იმპორტის მოცულობა 1.4 მლრდ აშშ დოლარამდე გაზარდა და ეს ტენდენცია კიდევ უფრო მატულობს.

